შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

როგორ მოვემზადოთ

პედაგოგთა საგნობრივი გამოცდისათვის

მუსიკა

თბილისი 2021

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

მუსიკის ჯგუფი

საგამოცდო კრებული წარმოადგენს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის „საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით - „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, მისი რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) გავრცელება, აგრეთვე იკრძალება საგამოცდო კრებულის გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

შინაარსი

შესავალი

მუსიკის სტანდარტი

მუსიკის საგამოცდო პროგრამა

მუსიკის ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება

2020 წლის მუსიკის ტესტი

შეფასების სქემა

ტესტური დავალების ტიპები, განმარტებები და რეკომენდაციები

ტესტზე მუშაობისათვის:

I დახურული კითხვები

II პრაქტიკული დავალებები

III შესაბამისობის დადგენა

IV დავალება პასუხით ,,ჭეშმარიტია - მცდარია''

V ქრონოლოგიის განსაზღვრა

VI მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი

ზოგადი რეკომენდაციები ტესტისთვის

შესავალი

პედაგოგთა საგნობრივი გამოცდის ტესტი მუსიკაში ეფუძნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ეროვნულ სასწავლო გეგმასა და მასწავლებლის სტანდარტს. ტესტის საშუალებით ფასდება საგნის სწავლებისათვის სტანდარტით გათვალისწინებული მასალის ცოდნა, მასწავლებლის მიერ პრაქტიკული უნარების გამოყენება, შემოქმედებითი უნარი, მუსიკალური ნაწარმოების ნიმუშის აღწერა-ანალიზის საფუძველზე კი ლოგიკური მსჯელობისა და ანალიტიკური აზროვნების უნარი.

იმისათვის, რომ მასწავლებლებს დახმარება გავუწიოთ სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მომზადების პროცესში, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი გთავაზობთ კრებულს „როგორ მოვემზადოთ სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის - მუსიკა“. კრებულში მოცემულია მუსიკის სტანდარტი, მუსიკის საგამოცდო პროგრამა, 2020 წლის სასერტიფიკაციო გამოცდაზე გამოყენებული ტესტი, წარმოდგენილია ტესტის პასუხები, შეფასების კრიტერიუმები და პრინციპები, განხილულია ტესტური დავალებების ტიპები, მოცემულია ტიპური შეცდომების ჩამონათვალი და რეკომენდაციები, რაც მთლიანობაში დაგეხმარებათ, გაიაზროთ ტესტურ დავალებათა მოთხოვნები.

იმედი გვაქვს, წარმოდგენილი მასალა დაეხმარება მუსიკის მასწავლებლებს მოემზადონ სასერტიფიკაციო გამოცდისათვის

მუსიკა

საბაზო საფეხურის სტანდარტი

შესავალი

მუსიკის სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;
ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი;
გ) მეთოდიკური ორიენტირები;
დ) შეფასება.

საგან „მუსიკის“ ფარგლებში მოსწავლე შეისწავლის მუსიკას, როგორც თვითგამოხატვისა და კომუნიკაციის საშუალებას; გაეცნობა, თუ როგორ შეიძლება გადმოიცეს სამყაროს აღქმა, ადამიანის ცხოვრება, მისი შინაგანი მდგომარეობა, ასევე სოციალური და ეპოქალური ცვლილებები მუსიკალური გამომსახველობითი ხერხებით. მოსწავლეები გააცნობიერებენ სამყაროს, როგორც მრავალფეროვანი გრძნობებისა და იდეების წყაროს, რომლებიც შეუძლიათ შემოქმედებითად ასახონ ნამუშევრებში.

მოსწავლე გაეცნობა ქართული და მსოფლიო, ძველი და ახალი მუსიკალური ხელოვნების ცნობილ ნიმუშებს და ხალხურ შემოქმედებას; მათი შექმნისა და შეფასების განსხვავებულ ისტორიულ, კულტურულ, სოციალურ და სხვა კონტექსტებს; გამოიკვლევს მათ როლს საზოგადოების ცხოვრებაში.

საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს.

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

მუსიკის სწავლება მიზნად ისახავს:

- მოსწავლეს დაეხმაროს პირად თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მუსიკის როლის გააზრებასა და საკუთარი ესთეტიკური შეხედულებების ფორმირებაში;
- მოსწავლეს დაეხმაროს მუსიკალური ენის სხვადასხვა კონტექსტში გააზრებაში;
- მოსწავლეს შესძინოს მუზიცირებისა და დარგობრივი ენით ოპერირების უნარი.

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას, რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს მუსიკის ფარგლებში საბაზო საფეხურის ბოლოს.

ეს შედეგები ჯგუფდება ორ მიმართულებად:

- **შემოქმედებითობა და პრაქტიკა** - გულისხმობს საკუთარი შთაბეჭდილებებისა და გამოცდილების საფუძველზე შემოქმედებითი ჩანაფიქრის განხორციელებას. მუსიკის საშუალებით საკუთარი იდეების, ემოციებისა და განწყობების გამოხატვას.
- **მუსიკის აღქმა კონტექსტში** - გულისხმობს სხვადასხვა ეპოქის, ჟანრისა და სტილის მუსიკალური ხელოვნების ნიმუშების, ავტორისეული ჩანაფიქრის ანალიზსა და შეფასებას.

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღიწერება სავალდებულო ცნებებისა და თემატური ბლოკების სახით.

ცნებების სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. ცნებები შედეგებთან ერთად უნდა დამუშავდეს მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებში. ეს კონტექსტები **სავალდებულო თემატური ბლოკების** სახითაა წარმოდგენილი.

სტანდარტის შედეგების ინდექსების განმარტება

სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების საფეხურსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ.: **მუს.საბ.1.:**
„მუს.“ - მიუთითებს მუსიკის საგანს;
„საბ.“ - მიუთითებს საბაზო საფეხურს;
„**1“** - მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

მუსიკის სტანდარტის შედეგები (VII-IX კლასები)		
შედეგების ინდექსი	**1. მიმართულება: შემოქმედებითობა და პრაქტიკა**	**ცნებები**
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	მელოდია რიტმი და მეტრი ჰარმონია ჟანრი ფორმა
მუს.საბ.1.	სხვადასხვა რიტმული, ინტონაციური ფორმულებისა და სხვა მუსიკალური ელემენტების გამოყენება იმპროვიზაციის დროს;	
მუს.საბ.2.	მარტივი მუსიკალური ფორმებით, საკუთარი ან სხვისი მუსიკალური მასალით მხატვრული იდეის გადმოცემა;	
მუს.საბ.3.	სხვადასხვა სიმბოლოს გამოყენებით კომპოზიციების ჩაწერა.	
	2. მიმართულება: მუსიკის აღქმა კონტექსტში	
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
მუს.საბ.4	ნაწარმოების მოსმენისას მუსიკის გამომსახველობითი ხერხების ამოცნობა და მხატვრული სახის შექმნაში მათი როლის განსაზღვრა;	
მუს.საბ.5.	აკადემიური და ხალხური მუსიკის ნიმუშებში მხატვრული კონცეფციის განსაზღვრა.	

სტანდარტის შინაარსი მოიცავს ცნებებსა და თემატურ ბლოკებს.

ეს კონტექსტები **სავალდებულო თემატური ბლოკების** სახითაა წარმოდგენილი.

ცნებები
საგნის სწავლა-სწავლების პროცესი უნდა წარიმართოს შემდეგი ცნებების დამუშავების საფუძველზე:

1. **მელოდია**
   ინტონაციური ფორმულა, მოტივი, მუსიკალური თემა;
2. **რიტმი და მეტრი**
   რიტმული ნახაზი, ზომა;
3. **ჰარმონია**
   ინტერვალი, აკორდი, ჰარმონიული ფორმულები, ტონალობა, კილო, კონსონანსი, დისონანსი;

4. **ჟანრი**
   სიმღერა, რომანსი, სონატა, სიმფონია, ოპერა, ბალეტი, მიუზიკლი; კამერული მუსიკა, ინსტრუმენტული და ვოკალური მუსიკა, ჯაზი, როკმუსიკა;
5. **ფორმა**
   იმპროვიზაცია, მუსიკალური კომპოზიცია, მუსიკალური კოლაჟი, მუსიკალური ციტატა, მცირე ფორმები, რონდო, ვარიაციები, კუპლეტური ფორმა.

სავალდებულო თემატური ბლოკები

თემატური ბლოკი: მუსიკა სამყაროში და სამყარო მუსიკაში
სარეკომენდაციო თემები: ბუნება და ტექნიკა, ხილული და უხილავი, მითი და რეალობა მუსიკაში;

თემატური ბლოკი: მუსიკა საზოგადოებაში და საზოგადოება მუსიკაში
სარეკომენდაციო თემები: ძველი და ახალი მუსიკაში, თაობები მუსიკაში, პირადული და საზოგადოებრივი მუსიკაში;

თემატური ბლოკი: მე მუსიკაში და მუსიკა ჩემში
სარეკომენდაციო თემები: სიყვარული და სიძულვილი, მარტოობა და ერთობა, გმირი და ანტიგმირი მუსიკაში.

საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები
საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვები სტანდარტის ცნებებს აკავშირებს შედეგებთან.

- რა შეგვიძლია გადმოვცეთ და გავიგოთ მუსიკალური მეშვეობით?
- როგორ გვეხმარება მუსიკა საკუთარი განცდისა თუ საზოგადოებაში არსებული განწყობის გადმოცემაში? როგორ გადმოვცე საკუთარი ემოციები და შთაბეჭდილებები მუსიკის საშუალებით?
- როგორ ზემოქმედებს მუსიკა ადამიანზე და საზოგადოების ცხოვრებაზე?

გ) მეთოდიკური ორიენტირები

საგნის სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას.
ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.
დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას).
ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

კრიტიკული აზროვნება	• ფაქტების, წარმოდგენების, მოსაზრებების კრიტიკულად განხილვა და გაანალიზება; • შეკითხვების ჩამოყალიბება და მათზე პასუხის ძიება; • არგუმენტირებულად მსჯელობა, ანუ საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება შესაფერისი არგუმენტების, მაგალითების მოყვანით; • გონივრული არჩევანის გაკეთება და მისი დასაბუთება.
თანამშრომლობა	• სამუშაოს თანასწორად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს; • მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად(მაგ., ლიდერის); • განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა; • რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით.
ეთიკა	• ეთიკური ნორმების დაცვა; • სოლიდარობის განცდა; • ემპათია; • განსხვავებულობის მიმღებლობა; • საკუთარ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება.
კვლევა	• კვლევითი ამოცანის, კვლევის პროცედურების, მონაცემების მოპოვების გზებისა და აღრიცხვის ფორმების განსაზღვრა; სათანადო რესურსების შერჩევა; • კვლევის ჩატარება, მონაცემების აღრიცხვა და სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა/ ორგანიზება; • მონაცემების ანალიზი, არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე დასკვნების გამოტანა; კვლევის შედეგების შეფასება; • კვლევითი სამუშაოების ჩატარების დროს ეთიკისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა.
სწავლის სწავლა დამოუკიდებლად საქმიანობა	• აქტივობის/დავალების ღირებულების განსაზღვრა - მოსწავლემ უნდა დაინახოს, რას შესძენს აქტივობის შესრულება, რა პიროვნულ თუ სოციალურ სარგებელს მოუტანს მას; • აქტივობის/დავალების დაგეგმვა - მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების დადგენა; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა სამუშაოს თითოეული ეტაპისათვის**;** • სწავლის პროცესის მონიტორინგი **-** დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად; თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარების დასადგენად, სუსტი მხარეების გასაძლიერებლად გზების დასახვა; • სოციოემოციური მართვა - ნერვიულობის მინიმუმამდე დაყვანა, საჭიროებისამებრ, დახმარების თხოვნა, საკუთარ თავში სიძნელეთა გადალახვის რესურსების პოვნა; შეცდომების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და წინსვლის წყაროდ გამოყენება; • ცალკეული საქმიანობისთვის გამოყოფილი დროის ეფექტურად გამოყენება.
პასუხისმგებლობა	• სასკოლო საქმიანობებში (სასკოლო ცხოვრებაში) ნაკისრი ვალდებულების შესრულება; • სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება; • საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე, სოციალურ აქტივობებზე პასუხისმგებლობის აღება.
ინფორმაციული და საკომუნიკაციო	• აუდიოფაილების დამუშავება; • მუსიკალური კოლაჟების შექმნა; • ტრეკერების შექმნა;

ტექნოლოგიების გამოყენება	• ლუპების, სემპლების შექმნა. • საკუთარი ნამუშევარის ინტერნეტში ატვირთვა (მაგ.: Sound Cloud); • ვებგვერდის/ბლოგის შექმნა და სასწავლო პროცესის განმავლობაში განხორციელებული სხვადასხვა პროექტის, ვებგვერდზე/ ბლოგზე განთავსება; • ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (მაგ., Word, PowerPoint) სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ტექსტების დასამუშავებლად
წიგნიერება	• ზეპირი და წერითი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის და წარდგენა-გაზიარების უნარი.

სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამაღლა ფიქრობს“ იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმლები მასალა და მისთ).

წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე - მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედუნარიანობას.

წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები

სტანდარტზე დაყრდნობით იგეგმება წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს. წლიური პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა. სკოლას შეუძლია გამოიყენოს რეკომენდებული წლიური პროგრამა ან თავად დასახოს სტანდარტის მიღწევის გზები. წლიური პროგრამები უნდა დაიგეგმოს სასწავლო თემების საშუალებით (შედეგი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას).

სასწავლო თემის დასაგეგმად გამოიყენება შემდეგი კომპონენტები:

სასწავლო თემა - სასწავლო თემა წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.
თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები - ცნებები განსაზღვრავს იმ არსებით ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.
თემატური საკვანძო შეკითხვები - თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვებიდან და დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქციაა: • მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად; • სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა; • თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.
აქტივობები მიმდინარე დავალებების ტიპების/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული გაგება-გააზრების პროცესების ხელშესაწყობად, ასევე ცოდნის ათვისების, განმტკიცებისა თუ შეჯამების მიზნით. **კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი** კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.
შეფასების ინდიკატორები - შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.
მკვიდრი წარმოდგენები - მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.

როგორ აიგება სასწავლო თემა?

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული. ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება **მკვიდრი წარმოდგენები**, **საკვანძო კითხვები** და **შეფასების ინდიკატორები**.

სასწავლო თემის სწავლა-სწავლების მიზნით შემდეგ ეტაპზე უნდა განისაზღვროს საგნობრივი საკითხები, რესურსები, დავალებების ტიპები/ნიმუშები, გაგების, გააზრების, განმტკიცებისა და შეჯამების მიზნით. ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს **იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის**, რადგან მხოლოდ კომპლექსური დავალებების საშუალებით შეიძლება გამოვლინდეს, რამდენად დაეუფლა მოსწავლე თემის ფარგლებში ასათვისებელ ცოდნა-უნართა ერთობლიობას და რამდენად ახერხებს მათ ფუნქციურად გამოყენებას.

სასწავლო თემის აგების ბიჯები

ნაბიჯი 1. **მკვიდრი წარმოდგენების დადგენა.**	
ნაბიჯი 2. **თემატური საკვანძო კითხვების დასმა.**	
ნაბიჯი 3. **შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა.**	
ნაბიჯი 4. **აქტივობებისა და მიმდინარე დავალებების დაგეგმვა და რესურსების შერჩევა.**	
ნაბიჯი 5. **შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების შემუშავება.**	

დ) შეფასება

საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესი ადგილი უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მოსწავლეს თავისსავე წინარე შედეგებთან მიმართებით აფასებს, ზომავს მის ინდივიდუალურ წინსვლას, რითაც მას ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას აძლევს.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას შეასწავლის. მაგალითად, თუ მოსწავლე კარგად გაიაზრებს აქტივობის მიზანსა და ამ მიზნის წარმატებით მიღწევის კრიტერიუმებს (მოსწავლისათვის განკუთვნილი კრიტერიუმები ნათლად ფორმულირებული და შეზღუდული რაოდენობის უნდა იყოს), იგი უკეთ დაინახავს იმ ნაბიჯებს, რომლებიც უნდა გადადგას სასურველი შედეგის მისაღწევად და უფრო გააზრებულად წარმართავს

მიზნისაკენ მიმავალ პროცესებს. თუ აქტივობის დასრულებისას მას ვთხოვთ, გააანალიზოს განვლილი გზა - რა ნაბიჯები გადადგა, რა შედეგს მიაღწია, რა მიდგომა გამოიყენა, კიდევ რომელი მიდგომის გამოყენება შეიძლებოდა ან აჯობებდა, რამ შეუქმნა პრობლემა, რა გაუჭირდა ან ვერ გადაჭრა და რატომ, რა გაუადვილდა, რამ შეუწყო ხელი წარმატებაში და სხვ., ეს ხელს შეუწყობს მისი სწავლის ქმედუნარიანობის გაზრდას.

შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება

შემაჯამებელი შეფასებისათვის გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. ამ დავალებათა შესაფასებლად შეფასების რუბრიკა, ანუ კრიტერიუმების ბადე გამოიყენება.

მოსწავლეს, თითოეული სასწავლო თემის დამუშავების შემდეგ, ევალება შემაჯამებელი დავალების წარმოდგენა. მაშასადამე, შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში სასწავლო თემების რაოდენობას ემთხვევა.

ქვემოთ გთავაზობთ სტანდარტით გათვალისწინებულ ტიპობრივ შემაჯამებელ დავალებათა ნუსხას. მოსწავლეზე და/ან მასწავლებელზეა დამოკიდებული, თუ რომელ დავალებას/ დავალებებს შეარჩევს.

- შემეცნებითი ხასიათის კონკრეტული მუსიკალური საკითხის გამოკვლევა (მაგ., „რა გავლენა მოახდინა ინდურმა მუსიკამ როკ-მუსიკაზე?“, რა საერთო აქვთ აკადემიური და პოპულარული მუსიკის გამომსახველ ხერხებს?“) და ძიების შედეგების წარმოდგენა სასურველი ფორმატით (მაგ., ლექცია-კონცერტი; ვიდეორგოლი, მუსიკალური წარმოდგენა);
- მოსწავლისთვის საყვარელი მუსიკალური ნაწარმოების ან მისთვის რომელიმე საინტერესო მუსიკალური მიმდინარეობის წარმოდგენა მოცემული თემის კონკრეტული საკითხის გაშუქების მიზნით (პრეზენტაცია, მუსიკალური კოლაჟი);
- საკუთარი კომპოზიციის შექმნა კონკრეტული მუსიკალურ-გამომსახველობითი ხერხების გამოყენებით (მაგ., ცვალებად რიტმზე აგებული კომპოზიცია, რაიმე უკვე არსებულ მუსიკალური თემაზე აგებული კომპოზიცია, კონკრეტულ ჰარმონიულ ფორმულაზე აგებული კომპოზიცია; კომპოზიცია სხვადასხვა ეპოქისთვის დამახასიათებელი ინტონაციური ფორმულების გამოყენებით);
- უცნობი მუსიკალური ნაწარმოების ირგვლივ დისკუსია თემის გარკვეული საკითხის ჭრილში (დისკუსიისთვის წინასწარი კითხვარის/საკითხების ჩამოწერა);
- ლიტერატურული წარმოდგენის მუსიკალური გაფორმება.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასებისათვის განკუთვნილი დავალება:

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს შეფასების რუბრიკა;
- რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე.

შეფასების რუბრიკის შესაძლო ფორმა

კლასი მოსწავლის სახელი, გვარი		
თემა		
დავალების პირობა		
შეფასების კრიტერიუმები	ქულები	კომენტარი

2020 წლის მასწავლებელთა საგნობრივი გამოცდის პროგრამა

მუსიკაში

საკითხთა ჩამონათვალი	საკითხის დაზუსტება
1. პროფესიული ცოდნა	
ელემენტარული თეორია და ჰარმონია	
ბგერა და მისი თვისებები	მუსიკალური ბგერის სიმაღლე, სიძლიერე, ტემბრი, გრძლიობა; ბუნებრივი და მექანიკური ხმები
მუსიკალური ანბანი და დამწერლობა	ტრადიციული ხუთხაზიანი სანოტო სისტემა, სანოტო ნიშნები, აკოლადა, პაუზები, ვიოლინოსა და ბანის გასაღებები
მელოდია	მდორე, ნახტომისებური, ტალღისებური; წინადადება, ფრაზა, მოტივი; ინტონაცია; ცეზურა, კადანსი
რიტმი	გრძლიობათა ძირითადი და თავისუფალი დაყოფა
მეტრი	ორწილადი, სამწილადი, ოთხწილადი; მარტივი, რთული, შერეული;
ტემპი	ნელი, საშუალო, ჩქარი; აჩქარებული, შენელებული და სხვ.
რეგისტრი	დაბალი, საშუალო, მაღალი
ინტერვალები	მარტივი (პრიმა, სეკუნდა, ტერცია და სხვ.) რთული ან შედგენილი (ნონა, დეციმა, უნდეციმა და სხვ.), კონსონანსი, დისონანსი

ჰარმონია; აკორდები და მათი შეთანხმება	სამხმოვანება და მისი შებრუნებები, სეპტაკორდი და მისი შებრუნებები; კონსონანსი და დისონანსი
მაჟორულ-მინორული სისტემა	კილო (მაჟორისა და მინორის სამი სახე) და ტონალობა; მყარი და მერყევი საფეხურები; ქრომატიზმი, ალტერაციის ნიშნები ძირითადი ფუნქციები: ტონიკა (T), სუბდომინანტა (S), დომინანტა (D); საკადანსო ბრუნვები ძირითადი ფუნქციების სამხმოვანებები და მათი შებრუნებები, სეპტაკორდები და მათი შებრუნებები
დიატონური კილოები	იონიური, მიქსოლიდიური, ლიდიური, ეოლიური, ფრიგიული, დორიული
მუსიკალური ფაქტურა	მონოდიური, ჰარმონიული, ჰომოფონური, პოლიფონიური
დინამიკური ნიუანსები	Piano, forte, pianissimo, fortissimo, diminuendo, crescendo, rinforzando, mezzoforte, mezzopiano, sforzando, calando, morendo და სხვ.
ემოციური ნიუანსები	Dolce, grazioso, mesto, pesante, cantabile, con espressione, agitato და სხვ.
აგოგიკური ნიუანსები	Ad libitum, tempo rubato, capriccioso და სხვ.
მუსიკალური ტერმინოლოგია	ქართულ, იტალიურ, ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ ენებზე
პოლიფონიის საფუძვლები	კანონი, ინვენცია, ფუგა

მუსიკალური ფორმები (ვოკალური და ინსტრუმენტული) და კომპოზიციის ხერხები	მარტივი ფორმები (პერიოდი, ორ და სამნაწილიანი ფორმები), რთული სამნაწილიანი, კუპლეტური, ვარიაციული, რონდო, სონატური ფორმა; ფორმის ელემენტები: ლაიტმოტივი, მელოდიური და რიტმული ოსტინატო, კონტრაპუნქტი, მუსიკალური კოლაჟი, ციტატა, იმპროვიზაცია, სტილიზაცია, დამუშავების სხვადასხვა ფორმა; ტრეკი, ლუპი, პატერნი.
მუსიკის ფუნქციები დრამასა და კინოში	მუსიკალური ფონი (ილუსტრატიული, ასოციაციური, პირობითი, კონტრასტული)
საშემსრულებლო ფორმები და შემადგენლობა	
ვოკალური და ინსტრუმენტული	
სასიმღერო ხმები	ქალთა (სოპრანო, მეცო სოპრანო, ალტი), მამაკაცთა (კონტრტენორი, ტენორი, ბარიტონი, ბანი) და ბავშვთა (დისკანტი, ალტი)
საოპერო ჟანრის ვოკალური ფორმები	არია, კავატინა, არიეტა, არიოზო, სიმღერა, რომანსი, ბალადა, მონოლოგი; რეჩიტატივი და მისი სახეები
საოპერო ჟანრის ინსტრუმენტული ფორმები	შესავალი, უვერტიურა, ფორშპილი, ანტრაქტი, ინტერმეცო, დივერტისმენტი და სხვ.
ვოკალური შემადგენლობა	სოლო, ანსამბლი (დუეტი, ტერცეტი, კვარტეტი, კვინტეტი, სექსტეტი, სეპტეტი, ოქტეტი), გუნდი (მამაკაცთა, ქალთა, ბავშვთა, შერეული)

სხვადასხვა ეპოქის ქართული და მსოფლიო ხალხთა საკრავები და საკრავთა ჯგუფები (ხალხური, პროფესიული; აკუსტიკური, მექანიკური, ელექტრონული)	სიმებიანი, სიმებიან-ხემიანი, ხისა და ლითონის ჩასაბერი, დასარტყამი, კლავიშიანი; მექანიკური საკრავები; სინთეზატორი, მარტენოს ტალღები, ელექტროგიტარა, ელექტროორგანი და სხვ.
საკრავებზე ბგერის მიღებისა და შესრულების ხერხები	Legato, staccato, portamento, vibrato, arpeggiato, glissando, pizzicato; მელიზმები (mordent, trillo, vorschlag) და სხვ.; აკუსტიკური და სინთეზური ბგერები
საკრავიერი შემადგენლობა	სოლო, ანსამბლი (დუეტი, ტრიო, კვარტეტი, კვინტეტი, სექსტეტი, სეპტეტი, ოქტეტი), ორკესტრი (სიმფონიური, კამერული, ჩასაბერი, დასარტყამი), ჯაზ ბენდი, შემადგენლობა ელექტრონული საკრავებით ან მათი დამატებით; საკონცერტო შესრულება და სტუდიური ჩანაწერი

მუსიკის ისტორიის საკითხები

- მუსიკის ისტორიის ეპოქები, მიმდინარეობები და სტილები, მათი მხატვრული მახასიათებლები

- მუსიკალური ხელოვნების დარგები (პროფესიული და ხალხური, საეკლესიო და საერო)

- მუსიკალური ჟანრები (ოპერა, ბალეტი, ოპერეტა, მიუზიკლი, ორატორია, კანტატა, გუნდი acapella ჰიმნი, სიმფონია, სიმფონიური პოემა, სიმფონიური უვერტიურა, კამერულ-ინსტრუმენტული ანსამბლის სახეები, მუსიკა თეატრის, კინოსა და ანიმაციისათვის, პროგრამული ინსტრუმენტული მუსიკა, ინსტრუმენტული კონცერტი, სონატა, ვოკალური და ინსტრუმენტული ციკლები, ერთნაწილიანი ინსტრუმენტული პიესის სხვადასხვა ჟანრი, სიმღერა, ბალადა, რომანსი, ცეკვა, მარში და ა.შ.) და მათი ძირითადი მახასიათებლები

- გამოჩენილი კომპოზიტორები და მათი შემოქმედების ძირითადი მახასიათებლები

- მუსიკალური ნაწარმოებების ზოგადი დახასიათება (ავტორი, ეპოქა, ჟანრი, სტილი, სახელწოდება, ძირითადი მხატვრული სახეები, კულტურულ-ისტორიულიკონტექსტი)

• მუსიკალური საშემსრულებლო პროფესიები (დირიჟორი, ლოტბარი, ვოკალისტი, ინსტრუმენტალისტი, ხალხური მომღერალი, მგალობელი)

ქართული მუსიკა	
ა) ხალხური მუსიკა	**უძველესი ქართული ხალხური მუსიკის ტრადიციები და ნიმუშები** (ბერიკაობა, ცეკვა „სამაია“ და სხვ.) ცნობები ქრისტიანობამდელი პერიოდის მუსიკის შესახებ **ხმიერი, საკრავიერი, ხმიერ-საკრავიერი მუსიკა;** **სოლო, საანსამბლო და გუნდური შესრულება;** **ხალხური საკრავები** (ჩონგური, ფანდური, სალამური, გუდასტვირი, ჩანგი, ჭიანური, ჭუნირი, დოლი და სხვ.) **აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთისა და ბარის ეთნოგრაფიული კუთხეების მუსიკა** (ქართლური, კახური, ხევსურული, ფშაური, მთიულური, იმერული, სვანური, რაჭული, ლეჩხუმური, მეგრული, გურული, ლაზური, აჭარული, მესხური) **ჟანრები** (სუფრული, სამგლოვიარო, საცეკვაო, საქორწილო, შრომის, კალენდარული, სალაშქრო, მგზავრული და სხვ.) **ერთხმიანი და მრავალხმიანი წყობა** (ოსტინატური, ბურდონული, კომპლექსური/სინქრონული, კონტრასტული) **სიმღერები და ცეკვები, საცეკვაო და სარიტუალო სიმღერები, ფერხულები.** ქართლ-კახური „გუთნური“, „ჩაკრულო“, „ალილო“, „ჭონა“, „ურმული“, „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“, „მუმლი მუხასა“, „ცანგალა და გოგონა“, „დავლური“, „წინ-წყარო“, „აჰ, ლაზარე, ლაზარე“, თუშური „ხვარამზე“, მოხეური „მოხევე ქალო თინაო“, იმერული „მხედრული“, „ნადური“, სვანური „მირანგულა“, „ლილე“, „ყანსავ ყიფიანე“, „შინა ვორგილ“, ფშაური „ჯვარი წინასა“, აჭარული „ხერტლის ნადური“, „ხორუმი“, გურული „ბატონებო“, „ხასანბეგურა“, „მზე შინა და მზე გარეთა“, მეგრული „აშო ჩელა“, „ოდოია“, „სისა ტურა“, „ნანა“, „იავნანა“, რაჭული „ალილო“ და სხვ. **ხალხური მუსიკის გამოჩენილი შემსრულებლები: ფოლკლორული ჯგუფები, მომღერალი ოჯახები, შემსრულებლები**
ბ) პროფესიული მუსიკა	**სასულიერო მუსიკა** სამგალობლო სკოლები შუა საუკუნეებში (გელათის, შემოქმედის, სვეტიცხოვლის) XIX ს. საეკლესიო გალობის აღმდგენელი კომიტეტის მოღვაწეობა XX ს.-ის ტენდენციები სასულიერო მუსიკაში საგალობლები („უფალი სუფევს“, „წმიდაო ღმერთო“, „ქრისტე აღსდგა“, „ნინოს ტროპარი“, „შენ ხარ ვენახი“)

XIX ს.	**მუსიკალური კულტურა საქართველოში** (მუსიკალური საგანმანათლებლო კერები, ხალხური საგუნდო მუსიკის აღორძინება, საოპერო თეატრის დაარსება და სხვ.)
XIX-XX სს. მიჯნა	**ქალაქური მუსიკის აღმოსავლური და დასავლური შტოები** (ვ. მაჭავარიანი-წერეთლისა - „სულიკო“; დ. ფაღავას „ჩემო ციცინათელა“ და სხვ). **ახალი საკომპოზიტორო სკოლის ჩამოყალიბება** ***კომპოზიტორები:*** დ. არაყიშვილი (ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“, რომანსები), ზ. ფალიაშვილი (ოპერები „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“), მ. ბალანჩივაძე (ოპერა „დარეჯან ცბიერი“, რომანსები), ვ.დოლიძე (ოპერა „ქეთო და კოტე“), ნ. სულხანიშვილი (საგუნდო სიმღერები „გუთნური“, „მესტვირული“, „ღმერთო, ღმერთო“)
XX ს.-დან დღემდე	***კომპოზიტორები:*** ა. ბალანჩივაძე (საფორტეპიანო კონცერტი №3 a-moll), შ. მშველიძე (სიმფონიური პოემა „ზვიადაური“), ა. მაჭავარიანი (ბალეტი „ოტელო“, სავიოლინო კონცერტი d-moll), ო. თაქთაქიშვილი (ოპერა „მინდია“, საფორტეპიანო კონცერტი №1 c-moll), დ. თორაძე (ბალეტი „გორდა“, კინომუსიკა, სიმღერები), რ. ლაღიძე (ოპერა „ლელა“, კინომუსიკა, სიმღერები), ს. ცინცაძე (სიმებიანი კვარტეტი №2 D-dur, საკვარტეტო მინიატურები, კინომუსიკა, სიმღერები), ს. ნასიძე (სიმფონია №5 „ფიროსმანი“), ბ. კვერნაძე (საორკესტრო პიესა „ცეკვა-ფანტაზია“, კინომუსიკა, მუსიკა თეატრისათვის, სიმღერები), ნოდარ გაბუნია („იგავი“ მთხრობელის, სამი ვოკალისტისა და ინსტრუმენტული სეპტეტისათვის, კინომუსიკა, სიმღერები), გ. ცაბაძე (მიუზიკლი „ვერის უბნის მელოდიები“, კინომუსიკა, სიმღერები), ნ. მამისაშვილი (საბავშვო პიესები ფორტეპიანოსათვის), გ. ყანჩელი („სტიქსი“ ალტის, შერეული გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისათვის; კინომუსიკა და მუსიკა თეატრისათვის, სიმღერები), ვ. აზარაშვილი (სიმღერები), ჯ. კახიძე (სიმღერები), ი. კეჭაყმაძე (საგუნდო მუსიკა), მ. შუღლიაშვილი („ეგზერსისი“ ფორტეპიანოსათვის), გ. ბზვანელის, ი. გურგულიას, მ. დავითაშვილის, ნუნუ გაბუნიას სიმღერები; მუსიკა ანიმაციური ფილმებისათვის; მუსიკა ა. შალიკაშვილის სახ. პანტომიმის თეატრში

უცხოეთის მუსიკა	
მუსიკის საწყისები და ძველი ცივილიზაციების მუსიკა ძვ.წ. 6000 - ახ.წ. 500	
ა) ეგვიპტე, შუამდინარეთი, უძველესი ინდოეთი, უძველესი ჩინეთი	**მუსიკის როლი და ფუნქცია, რელიგიური მისტერიები; სამეფო კარის მუსიკა; სინკრეტული ხელოვნება**
ბ) ანტიკური საბერძნეთისა და რომის მუსიკა	**ეპიკური და ლირიკული მუსიკა; მუსიკა ანტიკურ თეატრში**
დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების მუსიკა V-XIV I ნახ. სს.	***საეკლესიო მუსიკა:*** ფსალმოდია, ჰიმნი, გრიგორიანული ქორალი, საგალობელი Dies irae; მესა; მონოდია, ნევმები, გვიდო არეცოელის სანოტო სისტემა ***საერო მუსიკა:*** ტრუბადურების, ტრუვერებისა და მინეზინგერების სასიმღერო პოეტური ხელოვნება; მოხეტიალე მუსიკოსების ხელოვნება
დასავლეთ ევროპის რენესანსის მუსიკა XIV- XVI სს.	***საეკლესიო მუსიკის ჟანრები:*** მესა, მოტეტი ***საერო მრავალხმიანი სიმღერის ჟანრები:*** მადრიგალი, შანსონი, ინგლისური სიმღერა ***ინსტრუმენტული მუსიკა*** ***კომპოზიტორები:*** ლ. და პალესტრინა („პაპი მარჩელოს მესა“), კ. ჟანეკენი (სიმღერა „ჩიტების გალობა“)
დასავლეთ ევროპის ბაროკოს მუსიკა XVII ს. და XVIII ს. I ნახ.	**ბაროკოს დახასიათება.** ***ოპერის ჟანრის*** **შექმნა და საოპერო სკოლები იტალიაში, საფრანგეთსა და ინგლისში; ოპერა buffa და seria; ფრანგული ლირიკული ტრაგედია** ***კომპოზიტორები:*** ჯ. პერი (ოპერა „ევრიდიკე“), კ. მონტევერდი „ორფევსი“, ჰ. პერსელი „დიდონა და ენეოსი“ ***ბალეტის ჟანრის*** **შექმნა იტალიასა და საფრანგეთში** **ინსტრუმენტული ჟანები: Concerto grosso, სონატები da camera, da chiesa, კონცერტი სოლო საკრავისა და ორკესტრისათვის** ***კომპოზიტორები:*** ა. კორელი (Concerto grosso op. 6 №8 g-moll Christmas, op. 5 სავიოლინო სონატა La Folia), ა. ვივალდი (სავიოლინო კონცერტების ციკლი „წელიწადის დრონი“, „გაზაფხული“), დ. სკარლატი (საკლავირო სონატები K.159 C-dur; K.141 d-moll); ი.ს. ბახი („მაღალი მესა“ h-moll, „ყავის კანტატა“, საორგანო ტოკატა და ფუგა d-moll, „ბრანდენბურგის კონცერტი“

	№2, „ფრანგული სუიტა“ №2, პრელუდია და ფუგა №1 C-dur „კარგად ტემპერირებული კლავირის“ I ტომიდან); გ.ფ. ჰენდელი (ორატორიები „მესია“, სუიტა „მუსიკა წყალზე“, საორგანო კონცერტი №13 „გუგული და ბულბული“)
დასავლეთ ევროპის კლასიციზმის მუსიკა ა) ფრანგული კლასიციზმი XVIII ს. I ნახ.	**კლასიციზმის დახასიათება** ***კომპოზიტორი - კლავესინისტები:*** ჟ. ფ. რამო (პიესები კლავესინისათვის „ქათამი“, „ჩიტების გადაძახილი“), ლ.კ. დაკენი (პიესა კლავესინისათვის „გუგული“).
ბ) ავსტრიულ- გერმანული კლასიციზმი XVIII ს. II ნახ.	**ვენის კლასიკური სკოლა** ***კომპოზიტორები:*** ქ. გლუკი (ოპერა „ორფევსი და ევრიდიკე“), ი. ჰაიდნი (სიმფონიები №83 g-moll „ქათამი“, №101 D-dur „საათი“, №103 Es-dur „ლიტავრების ტრემოლოთი“; სიმებიანი კვარტეტი №15 D-dur, საფორტეპიანო სონატა Hob.XVI 37 D-dur), ვ.ა. მოცარტი (ოპერები „ფიგაროს ქორწინება“, „დონ ჯოვანი“, „ჯადოსნური ფლეიტა“; რეკვიემი d-moll; სიმფონია №40 g-moll; დივერტისმენტები K525 „ღამის პატარა სერენადა“, K287 Lodron; საფორტეპიანო კონცერტი №23, საფორტეპიანო სონატა №11 A-dur), ლ. ვან ბეთჰოვენი (სიმფონიები №5 c-moll, №9 d-moll; უვერტიურა „ეგმონტი“; საფორტეპიანო კონცერტი №5 Es dur, საფორტეპიანო სონატები № 8 c-moll „პათეტიკური“, №14 cis–moll „მთვარის“)
ევროპული რომანტიკული მუსიკა XIX ს.	**რომანტიზმის დახასიათება** ***კომპოზიტორები:*** ფ. შუბერტი (სიმღერები „Ave Maria“, „კალმახი“, „სერენადა“, ბალადა „ტყის მეფე“, სიმფონია №8 h-moll „დაუმთავრებელი“; მუსიკალური მომენტი f-moll); ფ. მენდელსონი (უვერტიურა და საქორწილო მარში მუსიკიდან უ. შექსპირის კომედიისათვის „ზაფხულის ღამის სიზმარი“, სავიოლინო კონცერტი e-moll, საფორტეპიანო პიესები კრებულიდან „უსიტყვო სიმღერები“), რ. შუმანი (საფორტეპიანო ციკლი „კარნავალი“; პიესები „საბავშვო ალბომიდან“), ფ. შოპენი (საფორტეპიანო კონცერტი №2 f moll, ნოქტიურნები №8 Des-dur op.27 №2, პრელუდიები op.28 №4 e-moll, №7 A-dur, №20 c-moll, ეტიუდები op.10 №3 E-dur, №12 c-moll „რევოლუციური“, მაზურეკები op.17 №4 a-moll, op.68 №1 C-dur, პოლონეზი №3 A-dur op.40 №1, ვალსი №7 cis-moll op.64), ჰ. ბერლიოზი („ფანტასტიკური სიმფონია“), ფ. ლისტი („უნგრული რაფსოდია“ №2 cis-moll, პარაფრაზა „რიგოლეტო“, ეტიუდები „კამპანელა“, „ჯუჯების ფერხული“), ნ. პაგანინი (სავიოლინო კონცერტი №2 h-moll op.7,

	კაპრისი სოლო ვიოლინოსათვის №24 ციკლიდან „24 კაპრისი“), ი. ბრამსი („უნგრული ცეკვები“ ორკესტრისათვის), ჯ. როსინი (ოპერა „სევილიელი დალაქი“), ჯ. ვერდი (ოპერები „ნაბუქო“, „რიგოლეტო“, „ტრავიატა“, „აიდა“), რ. ვაგნერი (ოპერა „ლოენგრინი“, ტეტრალოგია „ნიბელუნგის ბეჭედი“), ჟ. ბიზე (ოპერა „კარმენი“), კ. სენ-სანსი (ინსტრუმენტული ციკლი „ცხოველთა კარნავალი“), ე. გრიგი (მუსიკა სპექტაკლისათვის და საორკესტრო სუიტა „პერ გიუნტი“, საფორტეპიანო კონცერტი a-moll), ა. დვორჟაკი (სიმფონია №5 e-moll „ახალი სამყაროდან“), ი. შტრაუსი (ვალსები), ჟ. ოფენბახი (ოპერეტა „ორფევსი ჯოჯოხეთში), ა. ადანი (ბალეტი „ჟიზელი“), ლ. მინკუსი (ბალეტი „დონ კიხოტი“)
რუსული მუსიკა XIX ს.	**რეალიზმისა და რომანტიზმის ტენდენციები** **„მძლავრი ჯგუფი“; *კომპოზიტორები:*** მ. მუსორგსკი (საფორტეპიანო სუიტა „სურათები გამოფენიდან“), ნ. რიმსკი-კორსაკოვი (სიმფონიური სუიტა „შაჰრაზადი“, პიესა „კელას გაფრენა“); პ.ჩაიკოვსკი (ოპერა „ევგენი ონეგინი“, ბალეტები „მაკნატუნა“, „მძინარე მზეთუნახავი“ და „გედების ტბა“, უვერტიურა-ფანტაზია „რომეო და ჯულიეტა“, საფორტეპიანო კონცერტი №1 b-moll, საფორტეპიანო სუიტა „წელიწადის დრონი“, პიესები „საბავშვო ალბომიდან“ ფორტეპიანოსათვის)
მუსიკა XIX-XX სს. მიჯნაზე **ა) ავსტრო-გერმანული გვიანი რომანტიზმი**	**გვიანი რომანტიზმის დახასიათება.** ***კომპოზიტორი:*** გ. მალერი (სიმფონიები №1 D-dur „ტიტანი“, №5), რ. შტრაუსი (სიმფონიური პოემა „ტილ უილენშპიგელი“)
ბ) დასავლეთ ევროპის იმპრესიონიზმი	**იმპრესიონისტული სტილის დახასიათება;** ***კომპოზიტორები:*** კ. დებიუსი (სიმფონიური ციკლი „ნოქტიურნები“, სიმფონიური „პრელუდია ფავნის ნაშუადღევი დასვენებისათვის“, პიესა სოლო ფლეტისათვის „სირინქსი“, პრელუდიები „სელისფერთმიანი ქალიშვილი“, „ჩაძირული ტაძარი“ საფორტეპიანო ციკლიდან „24 პრელუდია“, საფორტეპიანო ციკლი „საბავშვო კუთხე“, საფორტეპიანო პიესა „მთვარის შუქი“ „სუიტიდან ფორტეპიანოსათვის“); მ. რაველი (ოპერა-ბალეტი „ბავშვი და ჯადოქრობა“, სიმფონიური პიესა „ბოლერო“, ინსტრუმენტული სუიტა „დედა ბატი“, საფორტეპიანო პიესა „წყლის თამაში“)
გ) იტალიური ვერიზმი	**ვერიზმის დახასიათება.** ***კომპოზიტორი:*** ჯ. პუჩინი (ოპერები „ბოჰემა“ და „ტურანდოტი“)

დ) რუსული მუსიკა	**გვიანი რომანტიზმისა და ექსპრესიონიზმის ტენდენციები** ***კომპოზიტორები:*** ა. ლიადოვი (სიმფონიური პოემა „კიკიმორა“, „მუსიკალური ზარდახშა“), ს. რახმანინოვი (საფორტეპიანო კონცერტი №2 c-moll,„რაფსოდია პაგანინის თემაზე“),ი.სტრავინსკი(ბალეტები „პეტრუშკა“ და „ღვთაებრივი გაზაფხული“)
XX საუკუნის და დღემდე მუსიკა	**ექსპრესიონიზმი, ნეოკლასიციზმი, ფოლკლორიზმი, ჯაზი კლასიკურ მუსიკაში, მინიმალიზმი, ელექტრონული მუსიკა და სხვ.** ***კომპოზიტორები:*** ა. შონბერგი (საფორტეპიანო სუიტა op.25), ო. რესპიგი („რომის ფიჭვები“), ბ. ბარტოკი („მუსიკა სიმებიანების, დასარტყამებისა და ჩელესტასათვის“), ჯ. გერშვინი (ოპერა „პორგი და ბესი“, „რაფსოდია ბლუზის ტონებში“, სიმფონიური პოემა „ამერიკელი პარიზში“), ს. პროკოფიევი (ბალეტები „რომეო და ჯულიეტა“ და „კონკია“, სიმფონია №1 D-dur „კლასიკური“, სიმფონიური ზღაპარი „პეტია და მგელი“, საფორტეპიანო პიესა „ტოკატა“ d-moll op.11); ა. ხაჩატურიანი (ბალეტები „გაიანე“ და „სპარტაკი“), დ. შოსტაკოვიჩი (სიმფონია №7 C-dur „ლენინგრადული“); ლ. ანდერსონი (ინსტრუმენტული პიესები), ო.მესიანი („ეგზოტიკური ფრინველები“ ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის),კ.შტოკჰაუზენი(„ტელემუსიკა“Telemusic; საფორტეპიანო პიესები Klavierstucke), ი. ქსენაკისი (Meatastaseis), ს. რაიხი („განსხვავებული მატარებლები“ Different Trains), ფ. გლასი (Glassworks, კინომუსიკა), ი. ტომიტა (ელექტრონული მუსიკა), ა. პიაცოლა (ტანგოები)
აშშ და ევროპული მიუზიკლი და როკ-ოპერა	**კომპოზიტორები:** ლ. ბარტი (მიუზიკლი „ოლივერი“), ფ. ლოუ (მიუზიკლი „ჩემი მშვენიერი ლედი“), რ. როჯერსი (მიუზიკლი „მუსიკის ჰანგები“), ლ. ბერნსტაინი (მიუზიკლი „ვესტსაიდის ისტორია“), კინომიუზიკლი „მერი პოპინსი“ მუსიკის ავტორები (რიჩარდ შერმანი, რობერტ შერმანი, ი.ქოსთელი) ე.ლ.უებერი (როკ ოპერა „სუპერ სტარი“), რ.კოჩანტე (მიუზიკლები „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ და „პატარა პრინცი“)
აშშ და ევროპული მუსიკა; ჯაზი და პოპულარული მუსიკა	**სპირიჩუელსი, ბლუზი, ტრადიციული და კლასიკური ჯაზი, სვინგი, რეგთაიმი, ბი-ბოპი, ლათინურ-ამერიკული საცეკვაო მუსიკა და სხვ.** ***კომპოზიტორები და შემსრულებლები (სოლისტებისა და ბენდების პოპულარული რეპერტუარი):*** ლ. არმსტრონგი, ბ. ჰოლიდეი, ე. ფიცჯერალდი, გ. მილერი, დ. ელინგტონი, ბ. გუდმენი, ნათ-ქინგ-ქოლი, ჩ. პარკერი, ს. ჯოპლინი, ო. პიტერსონი, დ. ბრუბეკიდა სხვ.

	როკ-ენ-როლი, რეგთაიმი, ფოლკი, პოპ მუსიკა, ახალი შანსონი, ტექნო, რეპი და რეგი ***კომპოზიტორები და შემსრულებლები (სოლისტებისა და ანსამბლების პოპულარული რეპერტუარი):*** ე. პრესლი, ფ. სინატრა, „ბითლზი“, „ლედ ზეპელინი“, რ. ჩარლზი, ბ. მარლი, ჯ. ჯოპლინი, ე. პიაფი, ჟ. ბრელი, ბ. სტრაიზანდი, ს. ვანდერი, ბ. ვაითი, „ქვინი“, ე. ჯონი, მ. ჯექსონი, ემინემი, ბ. აილიში და სხვ.
მუსიკა პანტომიმისათვის თეატრსა და კინოში	კინოფილმები „პორტიე“, „ხელზე მოსამსახურე ბიჭი“, „მბეჭდავი“ (მსახიობი ჯ. ლუისი), თეატრალური სკეტჩები მსახიობ-მიმი მ. მარსოს მონაწილეობით („პეპლებზე ნადირობის ხმა“ და სხვ.)
კინომუსიკა	**მუსიკა მუნჯური და ხმოვანი კინოსათვის** **კლასიკური მუსიკა კინოხელოვნებაში; კინომიუზიკლის ჟანრი; მუსიკა თანამედროვე კინოხელოვნებაში** **(პოპულარული მუსიკა კინოფილმებიდან, საუნდტრექები)** ***კომპოზიტორები:*** ჩ. ჩაპლინი, ნ. როტა, ე. მორიკონე, მ. ლეგრანი, ჯ. ჰორნერი, ჰ. შორი და სხვ.
მსოფლიო ხალხთა სიმღერები	ინგლისური, ფრანგული, გერმანული, იტალიური (ნეაპოლური), ავსტრიული (ტიროლური), ჩეხური და ა.შ.

პროფესიული უნარ-ჩვევები

1. **შემოქმედებითობა და პრაქტიკა**	• მუსიკალურ-თემატური მასალის გადმოცემა სხვადასხვა ხერხით: ერთხმიანი მელოდიის ჩაწერა სანოტო სისტემის გამოყენებით, რიტმული ნახაზის ამოცნობა და ჩაწერა, მელოდიის ჰარმონიზაცია ძირითადი ფუნქციების აკორდიკით, მარტივ მრავალხმიან სიმღერაში, მოცემული ხმისათვის სხვა ხმების შეწყობა • ნაწარმოების, მისი ფრაგმენტის ან მუსიკალური ენის ელემენტების - გამომსახველი ხერხების - ამოცნობა სანოტო ჩანაწერის საფუძველზე
2. **მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია**	• მუსიკალური ტერმინებისა და ცნებების განსაზღვრა და ადეკვატური გამოყენება • მუსიკალური ნაწარმოების შესრულების შეფასება

	• ქართველი და უცხოელი გამოჩენილი კომპოზიტორების შემოქმედებიდან სხვადასხვა ჟანრის ნაცნობი (ქრესთომატიული) მუსიკალური ნიმუშების ან მათი ფრაგმენტების ამოცნობა; ეპოქის, სტილის, კომპოზიტორის, ფორმის, ჟანრისა და ძირითადი მუსიკალური ელემენტების - გამომსახველი ხერხების - განსაზღვრა. მსჯელობა მუსიკალური ელემენტების მნიშვნელობასა და როლზე მხატვრული შინაარსის შექმნისათვის, ზოგადად და კონკრეტულ ნაწარმოებში; მუსიკის გამომსახველი საშუალებები ძველსა და ახალ მუსიკაში • უცნობი ტიპიური მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი • მუსიკის დაკავშირება ხელოვნების სხვა დარგებთან (შედარება, პარალელების გავლება) • მუსიკალური სტილებისა და ეპოქების დახასიათება, სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის მუსიკალურ ნაწარმოებებს შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებაზე მსჯელობა და კულტურულ-ისტორიულ კონტექსტთან დაკავშირება; სხვადასხვა ეპოქის მუსიკაში ინტონაციური ფორმულების (შუა საუკუნეების გრიგორიანული ქორალი Dies irae, „ვალტორნების ოქროს სვლა“) გამოყენების გააზრება, ამოცნობა, მათი დაკაშირება მხატვრულ სახეებთან; კლასიკური მუსიკის გავლენა პოპ მუსიკაზე, კონკრეტულ ნაწარმოებებში მათი ამოცნობა და მსჯელობა მათი გამოყენების ხერხებზე; ახალი ტექნოლოგიების როლი და მნიშვნელობა თანამედროვე მუსიკის სხვადასხვა ჟანრში • კომპოზიტორების შემოქმედებასა და შემსრულებლების სტილზე მსჯელობა

მუსიკის ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება

საგნობრივი გამოცდის ტესტი შედგება დახურული და ღია დავალებებისაგან და ამოწმებს: ა) საგნობრივ ცოდნას; ბ) ცოდნის გამოყენების უნარს; გ) მუსიკალური ნაწარმოების ანალიზის უნარს.

ტესტი შეიცავს ორ ნაწილს:

I <u>მოსმენის ნაწილი</u>

ა) დახურული კითხვები;

ბ) პრაქტიკული დავალება - მუსიკალური კარნახი;

გ) ღია კითხვა - მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი.

II <u>დახურული და ღია დავალებები, რომლებიც მოსასმენი მასალის გარეშეა წარმოდგენილი.</u>

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება დავალებების მიხედვით:

საგნობრივი კომპეტენციის ტესტი (ცოდნა, გამოყენება, ანალიზი)					
რას ვაფასებთ	დავალების ტიპები და ინსტრუქციები	დავალება	საკითხი	ქულა	ქულათა მაქსიმუმი
ქართული და მსოფლიო მუსიკის ისტორიისა და მუსიკის თეორიის საკითხები	ა) დახურული კითხვა- არჩევითბოლოიანი დავალება: 4 სავარაუდო პასუხიდან შემოხაზეთ 1 სწორი პასუხი	26	32	1	32

	ბ) დავალება „შესაბამისობის დადგენა“: დაადგინეთ შესაბამისობა ორ სვეტში მოცემულ მონაცემთა შორის.	3	9	1	9
	გ) დავალება „ჭეშმარიტია თუ მცდარი“: აღნიშნეთ, ჭეშმარიტია თუ მცდარი მოცემული დებულება და ჩაწერეთ სწორი ფორმულირება	5	5	1	5
	დ) დავალება „ქრონოლოგიის დადგენა“: დაალაგეთ მოცემულობა ქრონოლოგიური პრინციპით (უძველესიდან უახლესისაკენ)	2	2	1	2
მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი	ღია დავალება: მოუსმინეთ მუსიკალურ ნაწარმოებს; მოსმენისა და სანოტო ჩანაწერის საფუძველზე გააკეთეთ მისი ანალიზი, ტესტში მოცემული საკითხების მიხედვით	1	5	1 საკ. 2 ქ. 2 საკ. 3 ქ. 3 საკ. 3 ქ. 4 საკ. 2 ქ. 5 საკ. 3 ქ.	13

პრაქტიკული უნარები	ა) მელოდიური კარნახი ბ)მოცემული ნოტიდან ინტერვალის, სამ- და ოთხხმიანი აკორდებისა და კილოს აგება	1 4	1 4	5 1	5 4
დავალებათა ჯამური რაოდენობა საკითხების ჯამური რაოდენობა					42 დავალება 58 საკითხი
მაქსიმალური ქულა ტესტისათვის					70 ქულა

ტესტის წარმატებით ჩასაბარებლად აუცილებელია, რომ კანდიდატმა გადალახოს ტესტის მაქსიმალური ქულის 60%, ანუ კანდიდატმა უნდა დააგროვოს ტესტის მაქსიმალური ქულის 60%-ს +1 ქულა, მინიმუმ, 43 ქულა.

მუსიკის ტესტი
2020 წელი

I მოსმენის ნაწილი

მოსმენის ნაწილი აერთიანებს ათ დავალებას.

დავალებები № 1- 6.

<u>ინსტრუქცია</u>. პირველ ექვს დავალებაში, თითოეულისათვის განკუთვნილია ერთი მუსიკალური ფრაგმენტი და ორი კითხვა. ყოველ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. აირჩიეთ და პასუხების ფურცელზე X ნიშნით მონიშნეთ ერთი სწორი პასუხი.

მუსიკალურ ფრაგმენტს მოისმენთ ორჯერ. პირველსა და მეორე მოსმენას შორის ინტერვალი 20 წამია.

ყოველი დავალებისათვის განკუთვნილი მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გეძლევათ 10 წამი, რათა წაიკითხოთ დავალების კითხვები.

მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს და გაეცით პასუხები შესაბამის კითხვებზე.

დავალებები მოცემულია მომდევნო გვერდიდან.

(2) **დავალება № 1.**

პირველი მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას (1.1 და 1.2):

1.1 რომელი კუთხის სიმღერაა?

ა) კახეთის;

ბ) გურიის;

გ) სამეგრელოს;

დ) რაჭის.

1.2 რა ჟანრის სიმღერაა?

ა) სარიტუალო;

ბ) სუფრული;

გ) საცეკვაო;

დ) შრომის.

(2) **დავალება № 2.**

მეორე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას (2.1 და 2.2):

2.1 ვინ არის მუსიკის ავტორი?

ა) გია ყანჩელი;

ბ) ვაჟა აზარაშვილი;

გ) ბიძინა კვერნაძე;

დ) ინოლა გურგულია.

2.2 რომელი ფილმიდან არის მუსიკა?

ა) „დათა თუთაშხია“;

ბ) „მონანიება“;

გ) „ღიმილის ბიჭები“;

დ) „ჭრიჭინა“.

(2) **დავალება № 3.**

მესამე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას (3.1 და 3.2):

3.1 ვინ არის მუსიკის ავტორი?

ა) კარლ ვებერი;

ბ) ფელიქს მენდელსონი;

გ) იოჰანეს ბრამსი;

დ) რიხარდ ვაგნერი.

3.2 რომელი საშემსრულებლო შემადგენლობა ასრულებს ფრაგმენტს?

ა) სიმებიანი ორკესტრი;

ბ) დასარტყამ საკრავთა ორკესტრი;

გ) სიმფონიური ორკესტრი;

დ) ჩასაბერ საკრავთა ორკესტრი.

(2) **დავალება № 4.**

მეოთხე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას (4.1 და 4.2):

4.1 რომელი ოპერის ფრაგმენტი ჟღერს?

ა) „ფიგაროს ქორწინების“;

ბ) „ბოჰემის“;

გ) „სევილიელი დალაქის“;

დ) „რიგოლეტოს“.

4.2 რომელი საოპერო ხმა ასრულებს?

ა) ბანი;

ბ) ბარიტონი;

გ) ტენორი;

დ) კონტრტენორი.

(2) **დავალება № 5.**

მეხუთე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას (5.1 და 5.2):

5.1 ვინ არის მუსიკის ავტორი?

ა) გეორგ ფრიდრიხ ჰენდელი;

ბ) ანტონიო ვივალდი;

გ) იოჰან სებასტიან ბახი;

დ) არკანჯელო კორელი.

5.2 რომელი საკრავი ასრულებს სოლო პარტიას?

ა) ვიოლინო;

ბ) ალტი;

გ) ვიოლონჩელო;

დ) გიტარა.

(2) **დავალება № 6.**

მეექვსე მუსიკალური ფრაგმენტის მოსმენამდე გაეცანით დავალებას (6.1 და 6.2):

6.1 ვინ არის მუსიკის ავტორი?

ა) სერგეი პროკოფიევი;

ბ) ბელა ბარტოკი;

გ) არნოლდ შონბერგი;

დ) ჯორჯ გერშვინი.

6.2 რა ჟანრის ნაწარმოებია?

ა) ნოქტიურნი;

ბ) ტოკატა;

გ) პრელუდი;

დ) ეტიუდი.

(1) **დავალება № 7.**

<u>ინსტრუქცია</u>. მოისმინეთ მუსიკალური ფრაგმენტი; სანოტო ჩანაწერში მოცემული ოთხი ვარიანტიდან შეარჩიეთ მოსმენილი კილოს შესატყვისი ვარიანტი და პასუხების ფურცელზე X ნიშნით მონიშნეთ სწორი პასუხი. კილოს მოისმენთ ორჯერ. მოსმენამდე გეძლევათ 5 წამი, რათა გადახედოთ სანოტო ჩანაწერს.



(1) **დავალება № 8.**

<u>ინსტრუქცია</u>. მოისმინეთ მუსიკალური ფრაგმენტი; სანოტო ჩანაწერში მოცემული ოთხი ვარიანტიდან შეარჩიეთ მოსმენილი რიტმული ფიგურაციის შესატყვისი ვარიანტი და პასუხების ფურცელზე X ნიშნით მონიშნეთ სწორი პასუხი. რიტმულ ფიგურაციას მოისმენთ ორჯერ. მოსმენამდე გეძლევათ 5 წამი, რათა გადახედოთ სანოტო ჩანაწერს.



(5) დავალება № 9.

მელოდიური კარნახი.

<u>ინსტრუქცია</u>. მოუსმინეთ მელოდიას და ჩაწერეთ სანოტო სისტემაში. მელოდია ერთხმიანი, რვატაქტიანი და ერთტონალურია. მელოდიის მოსმენისა და ჩაწერისათვის გეძლევათ 15 წუთი. მელოდიას ისმენთ აუდიოჩანაწერში ხუთჯერ; ყოველ მომდევნო მოსმენას შორის ინტერვალი 2 წუთია.

კარნახი მოცემულია ტონალობაში რე მაჟორი (D dur).

<u>თქვენ მიერ ჩაწერილი მელოდია გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ სანოტო სისტემაში.</u>

(13) **დავალება № 10.**

მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი.

<u>ინსტრუქცია</u>. მოისმინეთ მუსიკალური ნაწარმოები. გააანალიზეთ იგი აუდიო და სანოტო ჩანაწერების საფუძველზე.

ნაწარმოებს მოისმენთ სამჯერ; ყოველ მომდევნო მოსმენას შორის ინტერვალი 2 წუთია. ჩანაწერის მოსმენამდე გეძლევათ 30 წამი, რათა გადახედოთ დავალების კითხვებს.

იხილეთ კითხვები:

(2) 1. რომელ ინსტრუმენტულ ჟანრს ეკუთვნის მოცემული ნაწარმოები? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

(3) 2. დაადგინეთ:

ა) ნაწარმოების ტონალობა;

ბ) ნაწარმოების მუსიკალური ფორმა;

გ) ნაწარმოების ბოლოს (23-25-ე ტაქტებში) მოცემულ საკადანსო ბრუნვაში შემავალი აკორდების ჰარმონიული ფუნქციები.

(3) 3. დაახასიათეთ, თუ როგორ ვითარდება ნაწარმოების მხატვრულ-ემოციური მხარე; გააანალიზეთ და მოკლედ აღწერეთ, მუსიკალური გამომსახველობის რომელი ხერხებია (როგორი სახის მელოდია, რიტმი, ტემპი, ტემბრი, ჰარმონია, კილო-ტონალობა, ფაქტურა და ა.შ.) განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამ ნაწარმოების მხატვრული შინაარსის შექმნისათვის.

(2) 4. დაადგინეთ ნაწარმოების შექმნის ეპოქა და კომპოზიტორის ვინაობა მუსიკალური მახასიათებლების საფუძველზე.

(3) 5. მოკლედ დაახასიათეთ კომპოზიტორის შემოქმედება და მისი ნოვატორული მიღწევები მუსიკაში. განიხილეთ ნაწარმოების ისტორიულ-კულტურული კონტექსტი. ავტორის მუსიკალურ მემკვიდრეობაში აღნიშნეთ იმ ჟანრის მნიშვნელობა, რომელსაც ეს ნაწარმოები მიეკუთვნება და აღწერეთ ჟანრის განვითარების ეტაპები.

მუსიკალური ნაწარმოების სანოტო ჩანაწერი იხილეთ მომდევნო გვერდზე.

Largo

p *espressivo*

4

8

12

16

stretto

f

dim.

p

Ped. * Ped. *

20

smorz.

pp

II ნაწილი

დავალებები № 11-28.

<u>ინსტრუქცია</u>. თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ., ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.

დავალება № 11.

ვისი პოემის საფუძველზე დაიწერა ოპერა „დარეჯან ცბიერის“ ლიბრეტო?

ა) აკაკი წერეთლის;

ბ) ვაჟა-ფშაველას;

გ) გრიგოლ ორბელიანის;

დ) ილია ჭავჭავაძის.

დავალება № 12.

რას ნიშნავს კონტრაპუნქტი?

ა) სხვადასხვა სიმაღლის ბგერებიდან მუსიკალური ფრაზის გამეორებას;

ბ) ორი ან მეტი დამოუკიდებელი მელოდიური ხაზის ჰარმონიულ შერწყმას;

გ) მუსიკალური ფრაზის ან მელოდიის სახეშეცვლილ გამეორებას;

დ) მელოდიური ფრაზის ან რიტმული ფიგურაციის მრავალჯერადად გამეორებას.

დავალება № 13.

XX საუკუნის რომელი კომპოზიტორი იყო ეთნომუსიკოლოგი?

ა) არნოლდ შონბერგი;

ბ) იანის ქსენაკისი;

გ) დიმიტრი შოსტაკოვიჩი;

დ) ბელა ბარტოკი.

დავალება № 14.

რა არის მესა?

ა) სასულიერო ან საერო ისტორიის ამსახველი ნაწარმოები სოლისტების, გუნდისა და ორკესტრისათვის, თეატრალური დადგმის გარეშე;

ბ) ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოები, რომელიც ეფუძვნება სახარების ტექსტს და ასახავს ქრისტეს ვნებებს;

გ) ლოცვის ტექსტებზე აგებული მრავალხმიანი საგალობლების ციკლი, შექმნილი კათოლიკური ლიტურგიისათვის;

დ) მსხვილი ფორმის ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოები, ლიბრეტოთი და თეატრალური დადგმით.

დავალება № 15.

რომელი მომღერალი ასრულებს აღმზრდელ მარიას როლს კინომიუზიკლ „მუსიკის ჰანგებში“?

ა) ბარბრა სტრეიზანდი;

ბ) ჯუდი გარლანდი;

გ) ჯულია ენდრიუსი;

დ) მარნი ნიქსონი.

დავალება № 16.

რომელი მუსიკალური ჟანრია დაკავშირებული ბუნების, სოფლისა და მწყემსების ცხოვრების გამოსახვასთან?

ა) ბარკაროლა;

ბ) პასტორალი;

გ) ბალადა;

დ) რაფსოდია.

დავალება № 17.

რომელი სიმფონიური ნაწარმოები მიეკუთვნება იმპრესიონისტულ მიმდინარეობას?

ა) სიმფონია „ტიტანი“;

ბ) ციკლი „ნოქტიურნები“;

გ) სიუიტა „პერ გიუნტი“;

დ) სიმფონია „ახალი სამყაროდან“.

დავალება № 18.

ჩამოთვლილ დაჯგუფებათაგან რომელია *<u>მცდარი?</u>*

ა) ქალის სასიმღერო ხმებია: სოპრანო, მეცო სოპრანო, კონტრალტო;

ბ) რომანტიკოსი კომპოზიტორები არიან: შუმანი, ვებერი, ვაგნერი;

გ) ინსტრუმენტული ციკლის ნიმუშებია: ექსპრომტი, კვარტეტი, სიმფონია;

დ) ლითონის ჩასაბერ საკრავთა ჯგუფში შედიან: ვალტორნა, საყვირი, ტუბა.

დავალება № 19.

საქართველოს რომელი კუთხის სიმღერებისათვის არის დამახასიათებელი ბურდონული ტიპის მრავალხმიანობა?

ა) კახეთის;

ბ) სვანეთის;

გ) სამეგრელოს;

დ) გურიის.

დავალება № 20.

რომელი მუსიკალური ჟანრი *<u>არ არის</u>* დამახასიათებელი ქართული მუსიკისათვის XX საუკუნის 10-20-იან წლებში?

ა) რომანსი;

ბ) საგუნდო სიმღერა;

გ) ბალეტი;

დ) ოპერა.

დავალება № 21.

იოჰან სებასტიან ბახის საკლავესინო თხზულებების რომელ ციკლშია გამოყენებული 24 ტონალობა?

ა) ფრანგულ სიუიტებში;

ბ) კარგად ტემპერირებულ კლავირში;

გ) ინგლისურ სიუიტებში;

დ) ორხმიან და სამხმიან ინვენციებში.

დავალება № 22.

რომელი მუსიკალური ტერმინი აღნიშნავს სანოტო ჩანაწერში ნოტის, აკორდის ან პაუზის გახანგრძლივებას?

ა) Sforzando;

ბ) Fermato;

გ) Accelerando;

დ) Piano.

დავალება № 23.

რომელი მუსიკალური ინსტრუმენტის სოლო პარტიით იწყება ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისის“ საორკესტრო შესავალი?

ა) კლარნეტის;

ბ) ვალტორნის;

გ) ჰობოის;

დ) ტრომბონის.

დავალება № 24.

რომელ ქალაქთან არის დაკავშირებული იოჰან სებასტიან ბახის მოღვაწეობის ბოლო პერიოდი?

ა) არნშტადტთან;

ბ) აიზენახთან;

გ) ვაიმართან;

დ) ლაიფციგთან.

დავალება № 25.

რომელ კომპოზიტორს უწოდებდნენ „ვალსის მეფეს“?

ა) კარლ ვებერს;

ბ) იოჰან შტრაუსს;

გ) ფრანც შუბერტს;

დ) რიხარდ შტრაუსს.

დავალება № 26.

რას ეწოდება კადანსი?

ა) მუსიკალური კომპოზიციის შექმნას სხვადასხვა ნაწარმოების ფრაგმენტებიდან;

ბ) მუსიკალურ თემას, რომელიც რამდენჯერმე მეორდება რონდოში;

გ) მუსიკალური ნაწარმოების ან მისი ნაწილის დამამთავრებელ ჰარმონიულ ბრუნვას;

დ) მუსიკალური ფორმის ყველაზე მცირე სტრუქტურულ ერთეულს.

დავალება № 27.

რომელი ოპერის გმირია ცერლინა?

ა) „ბოჰემის“;

ბ) „თავისუფალი მსროლელის“;

გ) „რიგოლეტოს“;

დ) „დონ ჯოვანის“.

დავალება № 28.

კომპოზიციის რომელი ხერხია წარმოდგენილი მუსიკალური ფრაგმენტის სანოტო ჩანაწერში?

ა) იმიტაცია;

ბ) ოსტინატო;

გ) სტრეტა;

დ) დოდეკაფონია.



დავალებები № 29 - 32.

ნოტიდან აგება

<u>ინსტრუქცია</u>. ააგეთ ნოტა *<u>ფა დიეზიდან</u>* მოცემული ინტერვალი, სამხმიანი და ოთხხმიანი აკორდები, კილო და ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ სანოტო სისტემაში:

(1) 29. დიდი სექსტა;

(1) 30. მაჟორული სექსტაკორდი;

(1) 31. მცირე მინორული სეპტაკორდი;

(1) 32. მელოდიური მინორი.

დავალებები № 33-35.

შესაბამისობის დადგენა

<u>ინსტრუქცია</u>. დავალებაში ჩამონათვალის ორი სვეტია. დაადგინეთ შესაბამისობა მათ მოცემულობათა შორის. მარცხენა სვეტის თითოეულ მონაცემს (1, 2, 3) შეესაბამება მარჯვენა სვეტის <u>მხოლოდ ერთი</u> მონაცემი (ა, ბ, გ, დ, ე). თითოეული შესაბამისობა მონიშნეთ X ნიშნით პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.

(3) **დავალება № 33.**

დაადგინეთ შესაბამისობა კინოფილმებსა და მათი მუსიკის ავტორებს შორის:

1. „შერბურგის ქოლგები“	ა) ნინო როტა
2. „ერთხელ ამერიკაში“	ბ) ჰენრი მანჩინი
3. „ამარკორდი“	გ) მიშელ ლეგრანი
	დ) ენიო მორიკონე
	ე) ფრანსის ლე

(3) **დავალება № 34.**

დაადგინეთ შესაბამისობა მიუზიკლებსა და მათ პერსონაჟებს შორის:

1. „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“	ა) ნენსი
2. „ჩემი მშვენიერი ლედი“	ბ) ესმერალდა
3. „ვესტსაიდის ისტორია“	გ) ქრისტინა
	დ) ელიზა
	ე) მარია

(3) **დავალება № 35.**

დაადგინეთ შესაბამისობა უძველეს მუსიკალურ საკრავებსა და ქვეყნებს შორის:

1. ავლოსი	ა) ჩინეთი
2. სარანგი	ბ) ეგვიპტე
3. ერხუ	გ) იაპონია
	დ) ინდოეთი
	ე) საბერძნეთი

დავალებები № 36-40.

„ჭეშმარიტია - მცდარია“

<u>ინსტრუქცია</u>. **განსაზღვრეთ, ჭეშმარიტია თუ მცდარი მოცემული დებულება; თუ მიიჩნევთ, რომ დებულება ჭეშმარიტია, ამ შემთხვევაში მონიშნეთ შესაბამისი უჯრა X ნიშნით; ასეთ შემთხვევაში, კომენტარის გაკეთება არ მოგეთხოვებათ; თუკი ჩათვლით, რომ დებულება მცდარია, მაშინ შესაბამისი უჯრა მონიშნეთ X ნიშნით და გამოყოფილ არეში ჩაწერეთ სწორი განმარტება.**

მცდარი დებულების შემთხვევაში, მოცემულ განმარტებას შეუსაბამეთ სწორი ტერმინი/სიტყვა ან მოცემული ტერმინი/სიტყვისათვის დაწერეთ სწორი განმარტება. <u>გაითვალისწინეთ</u>, რომ არ მიიღება პასუხი იმ შემთხვევაში, თუ მოცემული განმარტების დადებით ფორმას შეცვლით უარყოფითით ან პირიქით. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

დავალება № 36.

,,Rubato“ მუსიკაში ნიშნავს ხმოვანების თანდათან დაკლებას.

დავალება № 37.

ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის ოპერა „ჯადოსნური ფლეიტის“ ლიბრეტო დაწერილია გერმანულ ენაზე.

დავალება № 38.

„მეტრი“ მუსიკაში განსაზღვრავს ნაწარმოების შესრულების სისწრაფეს.

დავალება № 39.

ჯოვანი ბატისტა პერგოლეზი არის ოპერა buffa-ს ჟანრის ფუძემდებელი.

დავალება № 40.

ქრისტოფ ვილიბალდ გლუკი რომანტიზმის წარმომადგენელია.

დავალებები № 41-42.

ქრონოლოგიის დადგენა

<u>ინსტრუქცია</u>. **დაალაგეთ ჩამონათვალი ქრონოლოგიურად, უძველესიდან უახლესისაკენ. პასუხების ცხრილში ქრონოლოგიური თანმიმდევრობა მოცემულია ციფრებით 1- დან 4-მდე. შერჩეული ციფრის გასწვრივ, ჩაწერეთ სწორი პასუხები ანბანის შესაბამისი ასოებით (ა, ბ, გ, დ). თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.**

დავალება № 41.

დაალაგეთ ქრონოლოგიურად მუსიკალური ეპოქები/მიმდინარეობები:

ა) რომანტიზმი;

ბ) რენესანსი;

გ) შუა საუკუნეები;

დ) ექსპრესიონიზმი.

დავალება № 42.

დაალაგეთ ქრონოლოგიურად ქართველი დირიჟორების ჩამონათვალი, მათი მოღვაწეობის პერიოდების მიხედვით:

ა) ზაზა აზმაიფარაშვილი;

ბ) ჯანსუღ კახიძე;

გ) ოდისეი დიმიტრიადი;

დ) ევგენი მიქელაძე.

მუსიკის საგამოცდო ტესტის შეფასების კრიტერიუმები

I მოსმენის ნაწილი

1-6 დავალებები. (თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით).

1.1 ა) 2.1 გ) 3.1 ბ) 4.1 გ) 5.1 გ) 6.1 ა) 7. ბ) 8. ა)
1.2 ა) 2.2 ა) 3.2 გ) 4.2 ა) 5.2 დ) 6.2 ბ)

9. მელოდიური კარნახი.

(მაქსიმალური შეფასების ქულაა 5)

დავალების ინსტრუქციაში მოცემულია კარნახის ტონალობაა - რე მაჟორი. აპლიკანტმა უნდა ჩაწეროს კარნახის ზომა, მელოდიური და რიტმული ნახატი. შესაბამისად, ფასდება ყოველი ამ მონაცემის სისწორე ***(ზომა, ბგერის სიმაღლე და გრძლიობა).*** დავალების მაქსიმალური ქულაა 5. შეცდომების რაოდენობის მიხედვით, დავალება, შეიძლება, შეფასდეს 5, 4, 3, 2, 1 და 0 ქულით.

შეფასების სქემა:

შეცდომების რაოდენობა	**შეფასება**
0 %	**5**
1%-20%	**4**
21%-40%	**3**
41%-60%	**2**
61%-80%	**1**
81%-100%	**0**



10. მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი

(შეფასების ჯამური ქულაა 13).

დავალება შედგება 5 საკითხისაგან.

1. **ღია კითხვა.** (2 ქულა)
   ნაწარმოები მიეკუთვნება პრელუდიის ჟანრს. საფორტეპიანო მინიატურაა, რომელშიც ერთი მხატვრული სახე, დასრულებული მუსიკალური აზრი, ღრმა გრძნობა ხორცშესხმულია მცირე ფორმაში.
2. **დახურული კითხვა, მოითხოვს კონკრეტულ პასუხებს.** (3 ქულა)
   ა) მი მინორი; (1 ქულა)
   ბ) პერიოდი; (1 ქულა)
   გ) alt.S7 K64 D35 T35(***ან*** S K64 D T ***ან*** ალტ. IV7 K64 V35 I35 ***ან*** ალტ.VI2 K64 D35 T35 ***ან*** DD2 (alt. II6-თვის) K64 V35 I35). (1 ქულა)
3. **ღია კითხვა.** (3 ქულა)
   პრელუდის საერთო ხასიათი სევდიანია. ამ განწყობას ქმნის, პირველ რიგში, მარჯვენა ხელის პარტიის ლირიკული, მღერადი და გამომსახველი მელოდია, რომლის დასაწყისი აგებულია პატარა სეკუნდებით მოძრაობაზე ნელ ტემპში (Largo), დიდი გრძლიობებით, *p.* პიესის თითოეული წინადადების ბოლოს, წუხილის ემოცია იცვლება და იმედის ნაპერწკალი იბადება. მეორე წინადადების ბოლოს, მელოდიაში ფართო ინტერვალური სვლები და ნახტომებით მოძრაობა, მაღალი რეგისტრის ბგერები, ტემპის აჩქარება და რიტმული სურათის შეცვლა (ტრიოლები, მერვედები, პუნქტირული რიტმი, გრუპეტო) - მკაფიო კულმინაციას ქმნის და გრძნობას ამძაფრებს. დინამიკა მატულობს *p*-დან *f*-მდე, ტემპი ჩქარდება, დისონანსური აკორდები კონსონანსური ჰარმონიით იცვლება; მუსიკა თითქოს უკანასკნელ სულიერ გაბრძოლებას გამოხატავს, მაგრამ აღმაფრენა კვლავ უიმედობით იცვლება: *diminuendo p-მდე,* ხმოვანება ნელ-ნელა ქრება (*smorzando)* და დაბალ რეგისტრში, *pp,* ბოლო, საბედისწერო სიტყვებივით ჟღერს რამდენიმე აკორდი. შთამბეჭდავია პრელუდიის მარცხენა ხელის პარტია, რომლის ჰარმონიულად მრავალფეროვანი ქრომატული აკორდების მონოტონური დაღმავალი სვლა ქმნის დათრგუნულ განწყობას და აგრეთვე, იდუმალებასაც. მინიატურაში ძლიერი განცდის გადმოცემა და კომპოზიციის მთლიანობა კომპოზიტორის უდიდეს ოსტატობაზე მეტყველებს.
4. **დახურული კითხვა, რომელიც მოითხოვს კონკრეტულ პასუხებს.** (2 ქულა)
   რომანტიზმი (XIX საუკუნე); ფრედერიკ შოპენი.

5. **ღია კითხვა.** (3 ქულა)

ფ. შოპენის შემოქმედება ორ ქვეყანასთან, პოლონეთსა და საფრანგეთთან, შესაბამისად, ორივეს მუსიკალურ კულტურასთან არის დაკავშირებული. კომპოზიტორის ნოსტალგია და სამშობლოსთან ღრმა ემოციური კავშირი, პოლონური ხალხური და პროფესიული მუსიკა აისახა შოპენის როგორც მაზურკებსა და პოლონეზებში, ისე სხვა მრავალრიცხოვან საფორტეპიანო თხზულებაში. ფრანგულმა მუსიკალურმა კულტურამაც დიდი კვალი დაამჩნია მის მდიდარ შემოქმედებას, შექმნილს ერთი საკრავისათვის. შოპენმა მოახდინა საცეკვაო ჟანრის პოეტიზაცია; შექმნა მსხვილი ფორმების (საფორტეპიანო კონცერტი, სონატა) და მცირე რომანტიკული პიესების (ნოქტიურნები, ექსპრომტები) ბრწყინვალე ნიმუშები; სათავე დაუდო ახალ ჟანრებს: საფორტეპიანო ბალადას, ერთნაწილიან სკერცოს; მისი ეტიუდები გაცდა ტექნიკური სავარჯიშოს ფარგლებს და წარმოადგენს მაღალმხატვრულ თხზულებებს. რომანტიზმის ეპოქის სული გამოიხატა 24 პრელუდიის ციკლში, მინიატურებით გადმოცემულ განწყობათა ცვლაში, მდიდარი ემოციური სამყაროს მრავალფეროვნების ასახვაში. პრელუდის ჟანრის წარმომავლობა იმპროვიზაციული შესავლის, განწყობის შექმნის ფუნქციიდან მოდის, თავდაპირველად, საეკლესიო საორგანო პიესების სახით, მოგვიანებით კი, ფრანგულ საკლავესინო სიუიტაში - როგორც შესავალი. ბაროკოს ეპოქაში შეიქმნა პრელუდებისა და ფუგების ციკლები, მაგ., ი. ს. ბახის გენიალური „კარგად ტემპერირებული კლავირის“ ორი ტომი; შოპენის შემდეგ, კ. დებიუსიმ შექმნა 24 პროგრამული პრელუდი ორ რვეულად, ამ ჟანრს მიმართეს ს. რახმანინოვმა, ა. სკრიაბინმა, დ. შოსტაკოვიჩმა („24 პრელუდი და ფუგა“ და „24 პრელუდი“), ს. ცინცაძემ (სამი ციკლი სხვადასხვა ინსტრუმენტისათვის) და მრავალმა სხვა კომპოზიტორმა.

შეფასების სქემა მუსიკალური ნაწარმოების ანალიზისათვის	
3 ქულა საკითხი 2. 3. 5. **2 ქულა** საკითხი 1. და 4.	საკითხი სრულყოფილად არის გააზრებული და არგუმენტირებული. აპლიკანტი პასუხობს ყველა მითითებას, რომელსაც მოითხოვს დავალების პირობა. პასუხში ჩანს მოცემული საკითხის გააზრებული ანალიზი. პასუხი გამყარებულია ლოგიკური არგუმენტებითა და დამაჯერებელი მსჯელობით.
2 ქულა საკითხი 2. 3. 5. **1 ქულა** საკითხი 1. და 4.	პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა, აპლიკანტის პასუხი სწორია, მაგრამ მისი მსჯელობა ზოგადია და სქემატური ან აპლიკანტი სრულად არ პასუხობს კითხვაზე.
1 ქულა საკითხი 2. 3. 5.	პასუხში ჩანს საკითხის ნაწილობრივი გააზრება. აპლიკანტი არ პასუხობს პირობაში მოცემულ ყველა მითითებას, მაგრამ მსჯელობიდან ჩანს, რომ აპლიკანტს ესმის პირობაში დასმული საკითხის არსი.
0 ქულა	აპლიკანტი ვერ პასუხობს დავალების მოთხოვნებს. მის პასუხში მეორდება პირობაში მოცემული ინფორმაცია, კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე. დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული. პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს არ გააჩნია შესაბამისი ცოდნა. პასუხი არასწორია ან ბუნდოვანი, მოყვანილია არადამაჯერებელი არგუმენტები და განმარტებები.

II ნაწილი

11-28. დავალებები. (თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით).

11. ა) 12. ბ) 13. დ) 14. გ) 15. გ) 16. ბ) 17. ბ) 18. გ) 19. ა) 20. გ) 21. ბ)

22. ბ) 23. გ) 24. დ) 25. ბ) 26. გ) 27. დ) 28. ა)

29-32. ფა დიეზ ნოტიდან აგება

(თითოეული დავალების შეფასების ქულაა 1. ჯამური ქულაა 4).

29. დიდი სექსტა

30. მაჟორული სექსტაკორდი;

31. მცირე მინორული სეპტაკორდი;

32. მელოდიური მინორი.

29.

30.

31.



32.

33-35. შესაბამისობის დადგენა

(თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით).

33.1 გ)	34.1 ბ)	35.1 ე)
33.2 დ)	34.2 დ)	35.2 დ)
33.3 ა)	34.3 ე)	35.3 ა)

36-40. ჭეშმარიტია-მცდარია

(თითოეული დავალების შეფასების ქულაა 1)

36. ჭეშმარიტია ☐ მცდარია ✕

✍ ხმოვანების თანდათან დაკლებას ნიშნავს „diminuendo“.

37. ჭეშმარიტია ✕ მცდარია ☐

✍

38. ჭეშმარიტია ☐ მცდარია ✕

✍ ნაწარმოების შესრულების სისწრაფეს განსაზღვრავს ტემპი.

39. ჭეშმარიტია ✕ მცდარია ☐

✍

.

40. ჭეშმარიტია ☐ მცდარია ✕

✍ ქრისტოფ ვილიბალდ გლუკი კლასიციზმის წარმომადგენელია.

41- 42. ქრონოლოგიის დადგენა

41. (დავალების შეფასების ქულაა 1)

1	2	3	4
გ	ბ	ა	დ

42. (დავალების შეფასების ქულაა 1)

1	2	3	4
დ	გ	ბ	ა

ტესტის დავალების ტიპები, განმარტებები და რეკომენდაციები ტესტზე მუშაობისათვის.

I დახურული კითხვები

დავალების აღწერა: დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც ოთხი სავარაუდო პასუხი ახლავს. ***მათგან მხოლოდ ერთია სწორი.*** პასუხების ფურცელში უნდა მონიშნოთ თქვენ მიერ არჩეული სწორი პასუხის შესაბამისი უჯრა X ნიშნით. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს როგორც ფაქტობრივი მასალის, ცნებებისა და ტერმინების ცოდნას, ასევე მისი გამოყენებისა და ანალიზის უნარებს. თითოეული პასუხი ფასდება 1 ქულით.

რეკომენდაციები დახურული კითხვების შესასრულებლად:

- ✓ აუცილებლად წაიკითხეთ მოცემული ყველა სავარაუდო პასუხი, ვიდრე საბოლოო პასუხზე შეჩერდებით.
- ✓ შესაძლოა, სავარაუდო პასუხების ჩამონათვალში იყოს ორი, ერთი შეხედვით, სწორი/მსგავსი ვარიანტი. გახსოვდეთ, რომ ყველა შემთხვევაში მხოლოდ **<u>ერთი პასუხია სწორი</u>**. ამდენად, ყურადღება მიაქციეთ პასუხების ვარიანტებში წარმოდგენილ ყველა დეტალს;
- ✓ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ იმ სიტყვებს, რომლებიც გამუქებული ან ხაზგასმულია. მაგ., **„ჩამოთვლილთაგან რომელი „არ არის“, „ყველაზე მეტად“, „მცდარი“** და ა. შ.;
- ✓ შეკითხვები, რომლებშიც არის სიტყვები: **„ყველაზე ნაკლებად“, „გარდა“ ან „არ“** მიგვითითებს იმაზე, რომ არასწორი (პირობის საწინააღმდეგო) პასუხი უნდა ამოვიცნოთ.

ა) დახურული კითხვები - ტესტის I მოსმენის დავალებებში.

I მოსმენის ნაწილში მოცემულია ამ ტიპის ექვსი დავალება.

აუდიოჩანაწერში უსმენთ მუსიკალურ ფრაგმენტებს, როგორც ქართული (ხალხური და აკადემიური), ისე უცხოური მუსიკიდან; თითოეული დავალება შედგება ერთი მუსიკალური ფრაგმენტისა და ორი კითხვისაგან; ყოველ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. აირჩიეთ პასუხი და X ნიშნით მონიშნეთ შესაბამისი უჯრა პასუხების ფურცელზე. სწორი პასუხი ფასდება ერთი ქულით, შესაბამისად, თითოეული დავალება - ორი ქულით.

ბ) დახურული კითხვები - კილოსა და რიტმული ფიგურაციის ამოცნობა, აუდიო ჩანაწერის მოსმენის საფუძველზე; მოცემულია ტესტის I მოსმენის დავალებებში.

გაითვალისწინეთ, რომ ამ ორ დავალებაში, მოსმენებს შორის ინტერვალი 5 წამია.

გ) დახურული კითხვები, რომლებიც ტესტის II ნაწილში, მოსასმენი მასალის გარეშეა წარმოდგენილი.

ამ ნაწილში წარმოდგენილია ასეთი ტიპის 18 დავალება.

II პრაქტიკული დავალებები

ტესტში მოცემულია ორი სახის პრაქტიკული დავალება.

1. მელოდიური კარნახი - მოცემულია ტესტის <u>I მოსმენის დავალებებში:</u>

დავალების აღწერა: კარნახი მნიშვნელოვანი სავარჯიშოა მუსიკალური სმენისა და მეხსიერებისათვის. იგი ავითარებს მელოდიის აღქმისა და დამახსოვრების, მარტივი ფორმისა და რიტმული სურათის გააზრების, ბგერების სიმაღლის განსაზღვრისა და ნოტებით დაფიქსირების უნარებს.

დავალება გულისხმობს მოსმენილი მელოდიის ჩაწერას სანოტო სისტემაზე. მელოდია ერთხმიანი, რვატაქტიანი და ერთტონალურია. კარნახის ტონალობა ცნობილია. მელოდიის მოსმენისა და ჩაწერისათვის გეძლევათ 15 წუთი; მელოდიას ისმენთ აუდიოჩანაწერში ხუთჯერ; ყოველ მომდევნო მოსმენას შორის ინტერვალი 2 წუთია. სანოტო სისტემაზე მოცემულია გასაღები. აპლიკანტმა უნდა ჩაწეროს შესაბამისი ტონალობის საგასაღებო ნიშნები, კარნახის ზომა, მელოდიური და რიტმული ნახატი. ფასდება შემდეგი მონაცემების სისწორე: ზომა, ბგერის სიმაღლე და გრძლიობა. დავალების მაქსიმალური ქულაა 5. შეცდომების რაოდენობის მიხედვით, დავალება, შეიძლება, შეფასდეს 5, 4, 3, 2, 1 და 0 ქულით. შეფასების სქემა:

შეცდომების რაოდენობა	შეფასება
0 %	5
1%-20%	4
21%-40%	3
41%-60%	2
61%-80%	1
81%-100%	0

რეკომენდაციები მელოდიური კარნახის დავალებისათვის:

- ✓ მელოდიის ჩაწერის დაწყებამდე, გამოცხადებული ტონალობის მიხედვით, განსაზღვრეთ და ჩაწერეთ მისი საგასაღებო ნიშნები, დაადგინეთ და მიუთითეთ ზომა.
- ✓ კარნახზე, შეგიძლიათ, იმუშაოთ ფანქრით, ამისათვის განკუთვნილ სანოტო ფურცელზე, ხოლო პასუხების ფურცელზე, კალმით გადაიტანეთ კარნახის მელოდია, ისევე როგორც ტესტის ყველა დავალების პასუხი.

2. ნოტიდან აგება - მოცემულია II <u>ნაწილის დავალებებში, რომლებიც დამოუკიდებლად, მოსასმენი მასალის გარეშეა წარმოდგენილი.</u>

დავალების აღწერა: განსაზღვრული ინტერვალის, სამ- და ოთხხმიანი აკორდებისა და კილოს აგება სანოტო სისტემაში, **დავალების პირობაში მოცემული ნოტიდან.** თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

- ✓ <u>დავალების ფარგლებშია მოცემული</u>: მარტივი ინტერვალები; მაჟორული და მინორული სამხმოვანება და მათი შებრუნებები, შემცირებული და გადიდებული სამხმოვანება; მცირე მაჟორული, მცირე მინორული, მცირე შემცირებული სეპტაკორდები და მათი შებრუნებები, შემცირებული სეპტაკორდი; მაჟორული და მინორული კილოების სამი სახე; დიატონური კილოები.
- ✓ დავალებაზე, შეგიძლიათ, იმუშაოთ ფანქრით, ამისათვის განკუთვნილ სანოტო ფურცელზე, ხოლო პასუხების ფურცელზე, ისევე როგორც ტესტის ყველა დავალების პასუხი, გადაიტანეთ კალმით.

III შესაბამისობის დადგენა

დავალების აღწერა: შესაბამისობის ჩამონათვალში მოცემულია მუსიკალური მიმდინარეობები, პერიოდები, კომპოზიტორები, მუსიკალური ჟანრები, ნაწარმოებები, თეორიული ცნებები, ტერმინები და სხვ., რომლებიც აპლიკანტმა, მოცემული დავალების მიხედვით, შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს:

დავალებაში მოცემულია ჩამონათვალის ორი სვეტი. უნდა დადგინდეს შესაბამისობა ამ ორი სვეტის მოცემულობათა შორის. მარცხენა სვეტის თითოეულ მონაცემს (1, 2, 3) შეესატყვისება მარჯვენა სვეტის მხოლოდ ერთი მონაცემი (ა, ბ, გ, დ, ე). თითოეული შესაბამისობა მონიშნეთ X ნიშნით. დავალება 3 ქულით ფასდება.

რეკომენდაციები შესაბამისობის დავალებათა შესასრულებლად:

- ✓ პირველ რიგში მონიშნეთ ის შესაბამისობა, რომლის სისწორეშიც დარწმუნებული ხართ (დავალებაზე მუშაობისას შეგიძლიათ გამოიყენოთ ისრები შესაბამისობის აღსანიშნად);
- ✓ საბოლოოდ, სწორი პასუხი უნდა ჩაიწეროს პასუხებისათვის განკუთვნილ ცხრილში.

IV დავალება პასუხით „ჭეშმარიტია - მცდარია“

დავალების აღწერა: დავალებაში მოცემულია დებულებები ტერმინთა თუ მუსიკალური ენის ელემენტებისა და პრინციპების განმარტებები, რომელთაგან ზოგი ჭეშმარიტია და შეესაბამება სინამდვილეს, ხოლო ზოგიერთ ტერმინს კი სრულიად შეუსაბამო განმარტება მოსდევს. თუ დებულება ჭეშმარიტია, ჭეშმარიტის შესაბამისი უჯრა უნდა მოვნიშნოთ X ნიშნით. ასეთ შემთხვევაში, კომენტარის გაკეთება არ მოგვეთხოვება. თითოეული სწორად მონიშნული ჭეშმარიტი ფორმულირება ფასდება 1 ქულით. თუ ფორმულირება მცდარია, მცდარის შესაბამისი უჯრა X ნიშნით უნდა მოვნიშნოთ და საგანგებოდ გამოყოფილ არეზე ჩავწეროთ სწორი ფორმულირება. თუ თვლით, რომ მტკიცებულებაში მოცემული განმარტება თავისთავად სწორადაა ჩამოყალიბებული, თუმცა მოცემული ტერმინის ან/და სიტყვის ახსნას არ წარმოადგენს, მაშინ განმარტება უცვლელი უნდა დატოვოთ და იმავე განმარტებისათვის მოძებნოთ და მიუსადაგოთ შესაბამისი ტერმინი ან/და სიტყვა. თუ აპლიკანტი სწორად მონიშნავს მცდარის უჯრას და მართებულ ფორმულირებას ჩაწერს, დავალება შეფასდება 1 ქულით. მხოლოდ სწორად მონიშნული მცდარის შესაბამისი უჯრა სწორი ფორმულირების ჩანაწერის გარეშე ფასდება 0 ქულით.

რას ვაფასებთ: ამ დავალებით ფასდება, თუ რამდენად კარგად იცნობს აპლიკანტი მუსიკასთან დაკავშირებულ პროფესიულ ტერმინოლოგიას, მუსიკალური ენის ელემენტებისა და პრინციპების თავისებურებებს. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

რეკომენდაციები „ჭეშმარიტი-მცდარიას“ ტიპის დავალებების შესასრულებლად:

- ✓ საგამოცდო ნამუშევრების ანალიზმა აჩვენა, რომ ამ ტიპის დავალებების შესრულებისას ძირითადი სირთულე მცდარად მოცემული ფორმულირების სწორად ჩაწერისას შეიქმნა. აპლიკანტმა ყურადღებით უნდა წაიკითხოს პასუხების მონიშვნის ინსტრუქცია და გაითვალისწინოს მოთხოვნა - თუ ფორმულირებას მიიჩნევს მცდარად, ის აუცილებლად ჩაწეროს კორექტული (სწორი) ფორმით.
- ✓ აპლიკანტმა თავი უნდა აარიდოს მოცემული დებულების შებრუნებული ფორმით ჩაწერას. თუ დებულება პოზიტიური ფორმითაა ჩაწერილი, მას უარყოფითი ფორმის წინადადებად ნუ გადააქცევთ. ასეთი პასუხი სწორ პასუხად არ მიიჩნევა.

V ქრონოლოგიის განსაზღვრა

მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს მასალის ფაქტობრივ ცოდნასა და მისი გამოყენების უნარს. დავალებაში მოცემულია ჩამონათვალი (მუსიკალური მიმდინარეობები, პერიოდები, კომპოზიტორები, მუსიკალური ჟანრები, ნაწარმოებები და სხვ.), რომელიც ქრონოლოგიურად (უძველესიდან უახლესისაკენ) უნდა დაალაგოთ. ქრონოლოგია (უძველესიდან უახლესისაკენ) განსაზღვრულია ცხრილში, ციფრებით 1-დან 4-მდე; პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში, შესაბამისი ციფრის გასწვრივ ჩაწერეთ შერჩეული ერთეულის შესატყვისი ანბანის ასო.

VI ღია კითხვა:

ტესტის **I მოსმენის ნაწილში** მოცემულია ღია ტიპის დავალება - **მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი.** ამ ტიპის დავალებას არა აქვს ერთადერთი სწორი პასუხი (გარდა მუსიკალური ნაწარმოების ანალიზის მე-2 და მე-4 საკითხებისა), ამიტომ პროფესიულ ცოდნასთან ერთად, შეფასდება კანდიდატის მიერ საკითხის ინდივიდუალური გააზრების, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარები. ღია დავალებებისათვის შემუშავებულია შეფასების სქემა. დავალება ფასდება 13 ქულით.

დავალების აღწერა: დავალება ამოწმებს პედაგოგის უნარს, ჩაწვდეს მუსიკალური ნაწარმოების მხატვრულ შინაარსს, გაანალიზოს მუსიკალური ფორმა და მუსიკალური ენის ელემენტები, როგორც მხატვრულ-ემოციურ სახეთა გამოსახვის საშუალება და ეპოქის მახასიათებლები, გაიაზროს თხზულებისა და მისი ავტორის ადგილი ისტორიულსა და კულტურულ კონტექსტში.

ტესტში მოცემულია გასაანალიზებელი ნაწარმოების სანოტო ჩანაწერიც, რაც ამოწმებს ნაწარმოების ან მუსიკალური ენის ელემენტების ამოცნობა-წაკითხვის უნარს სანოტო ჩანაწერის საფუძველზე. ანალიზი ხდება კომპლექსურად - ნაწარმოების მოსმენისა და მისი სანოტო ჩანაწერის საფუძველზე.

დავალება 10-ის შესრულების დროს დაშვებული ტიპური შეცდომები და რეკომენდაციები:

- **დავალებების მითითებების არასრული გააზრება.** მაქსიმალური ქულის მისაღებად მნიშვნელოვანია, რომ აპლიკანტი სრულად იაზრებდეს დავალების პირობაში მოცემულ ყველა მითითებას და შესაბამისად, მისი პასუხი აკმაყოფილებდეს ყველა ქვეპუნქტს.
- **ვრცელი, მაგრამ არაადეკვატური პასუხი.** ხშირია, როდესაც აპლიკანტი თითქმის სრულად ავსებს დავალებისათვის განკუთვნილ არეს, თუმცა მისი პასუხი არაადეკვატურია. პასუხის მოცულობის გაზრდის მიზნით, არ არის სასურველი ზოგადი და არაფრისმთქმელი ფრაზების გამოყენება, რაც პასუხის ხარისხს მნიშვნელოვნად წევს დაბლა. უმჯობესია, მსჯელობა კონკრეტულად საკითხს შეეხებოდეს. ხშირად ერთი

წინადადება გაცილებით უკეთეს შთაბეჭდილებას ქმნის აპლიკანტის ცოდნაზე, ვიდრე მისი ზოგადი ფრაზებით მაღალფარდოვანი მსჯელობა; ასეთი პასუხები დავალების პირობაში მოცემულ მითითებებს არ შეესაბამება და ფასდება 0 ქულით.

- **დავალების მე-3 საკითხის პასუხად, ზოგჯერ, ნაწარმოების მუსიკალური ელემენტების მექანიკურად ჩამოთვლა ხდება.** დავალების პირობის მიხედვით, აუცილებელია, აღნიშნოთ, რა მნიშვნელობა აქვს მუსიკის გამომსახველ ხერხებს ნაწარმოების იდეის, შინაარსისა და მხატვრულ სახეთა ხორცშესხმაში;
- **დავალების მე-5 საკითხის პასუხად მოცემულია კომპოზიტორის ბიოგრაფიული მონაცემები ან სხვა ინფორმაცია, რომელიც დავალების პირობით არ მოეთხოვება აპლიკანტს.** ყურადღებით გაიზრეთ კითხვები და გაეცით კონკრეტული პასუხები.
- **მხატვრული ნაწარმოების სხვადასხვა კონტექსტში განხილვის დეფიციტი.** მუსიკის ისტორიის განვითარების მანძილზე ძნელად თუ მოიძებნება ნაწარმოები, რომელიც სრულებით ამოვარდნილია ისტორიულ-კულტურული თუ სოციალური კონტექსტიდან. ყოველ ნაწარმოებს, მიუხედავად მკვეთრად დამახასითებელი და ყველასგან გამორჩეული სტილისა და ინდივიდუალიზმისა, გარკვეული საფუძვლები გააჩნია და კულტურული კუთვნილების მატარებელია. სასურველია, აპლიკანტმა მოახერხოს მსჯელობის ამ მიმართულებით წარმართვა. სასურველია, მან გამოხატოს საკუთარი მოსაზრება, დააკავშიროს მხატვრული სახეები, ფორმა და შინაარსი, გაავლოს ისტორიული ან/და სოციალური პარალელები, შეადაროს მისთვის ნაცნობ ნაწარმოებებს, გაავლოს პარალელები, აღმოაჩინოს განმასხვავებელი ნიშნები და ამ მსჯელობაზე დაყრდნობით, მუსიკალური ნაწარმოების წარმომავლობასთან დაკავშირებით გარკვეული დასკვნები გააკეთოს.
- **პასუხები, ზოგჯერ, ჩაწერილია სხვა კითხვებისათვის გამოყოფილ არეში. ასეთი პასუხი არ შეფასდება.** მიაქციეთ ყურადღება, რომ პასუხები დაიწეროს შესატყვისი კითხვების ნუმერაციის გასწვრივ, რადგან ქულა ეწერება ამ დავალების თითოეულ კონკრეტულ საკითხზე გაცემულ პასუხს და მხოლოდ შემდეგ, ჯამდება.

ზოგადი რეკომენდაციები ტესტისათვის:

ტესტზე მუშაობისას, პირველ რიგში, ყურადღებით გაეცანით თითოეული დავალების შესრულების ინსტრუქციას და მხოლოდ შემდეგ, დავალების პირობას.

დავალება შეასრულეთ, თავდაპირველად, შავი სამუშაოსათვის განკუთვნილ ფურცელზე; პასუხის საბოლოო ვარიანტი აუცილებლად გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე, კალმით. სწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი. არსად არ მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი. ასეთი ნაწერი არ გასწორდება.

ტესტზე მუშაობის ხანგრძლივობაა 4 საათი. დრო თავისუფლად შეგიძლიათ გაანაწილოთ მთელ ტესტზე, გარდა მოსმენის ნაწილისა, რომელშიც თითოეული დავალების შესრულებისათვის მითითებულია კონკრეტული დრო (გამონაკლისია მე-10 დავალება).

გისურვებთ წარმატებას!